ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება

სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე

საქართველოს სახალხო დამცველი
2020

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

სარჩევი

შესავალი	4
კვლევის მეთოდოლოგია	5
კვლევის ძირითადი საკითხები	7
კვლევის შეზღუდვები	7
1. ადგილობრივი თვითმმართველობების როლი გენდერული პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით	8
1.1. საერთაშორისო სტანდარტები	8
1.2. ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები	12
1.3. ინსტიტუციური მექანიზმები	14
2. ძირითადი მიგნებები	16
2.1. გენდერული მეინსტრიმინგი მუნიციპალიტეტებში	16
2.2. ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში	19
2.3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება	20
2.4. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა	24
2.5. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა	26
2.6. ინფრასტრუქტურა.	28
2.7. მოწყვლადი ჯგუფები	28
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა	29
დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები	31
მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები.	33
3. დასკვნა	35
რეკომენდაციები	37

შესავალი

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. მუნიციპალიტეტებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, მნიშვნელოვანია შემუშავებული ჰქონდეთ თანასწორი და დისკრიმინაციისგან დაცლილი პოლიტიკა, რადგან არსებული გამოწვევების, საჭიროებებისა თუ შესაძლებლობების შესახებ ისინი უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყვიტა სახალხო დამცველმა, შეეფასებინა ადგილობრივი თვიმმართველობების გენდერული პოლიტიკა, სპეციფიკური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობითა და დახმარებით, თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმირება და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი 2017 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.[1] გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში, რომელთა მიზანიც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა და ქალთა გაძლიერებაა, გარკვეული აქტივობები მუნიციპალიტეტების ორგანოების მონაწილეობით შესრულებულ საქმიანობებსაც მოიცავს, რაც ეროვნული სამოქმედო გეგმების ლოკალიზაციისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია.

სახალხო დამცველის აპარატმა, მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის შესაფასებლად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროექტის, „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“, ფარგლებში, რეგიონებში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობა და ქალების საჭიროებები შეისწავლა. კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა ადგილობრივ დონეზე არსებული მიღწევები და გამოწვევები. ამავე კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული პოლიტიკის გასაძლიერებლად, მათი მიზნობრიობის გასაუმჯობესებლად და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისკენ მიმართული არაერთი აქტივობის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება ქვეყნის გენდერულ პოლიტიკაში რეგიონების განსხვავებული საჭიროებების ასახვა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სისტემატიზებული და საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავება. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში ნაკლებად პრიორიტეტულია გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ მიმართული ღონისძიების გატარება.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წინამდებარე კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს თვითმმართველი ორგანოების გენდერული პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრას, რაც მომავალში დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და უფრო მეტად განამტკიცებს ინსტიტუციური მექანიზმის მდგრადობას გენდერული თანასწორობის კუთხით.

[1]აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მიღებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა ა/ო „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“.

კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველი, კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიასა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას[2].

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, ძირითად ხელშეკრულებებს[3] და საქართველოს კანონმდებლობას, თვითმმართველი ორგანოების გენდერული პოლიტიკის შესაფასებლად[4]. ამასთან, თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასების ეტაპზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა გამოითხოვა ინფორმაცია და მიმოიხილა თითოეული მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, მათ შორის, გაანალიზდა გენდერული თანასწორობისკენ მიმართული პროგრამების ერთობლიობა.

თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკა სამ ეტაპად შეფასდა. პირველ ეტაპზე განისაზღვრა კვლევის საზღვრები, ფორმულირდა კვლევის მთავარი საკითხები და მოხდა ინფორმაციის[5] გამოთხოვა მუნიციპალიტეტებიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით. კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა მიღებული ინფორმაციის პირველადი დამუშავება და მომზადდა სამაგიდო კვლევა, რომელშიც აქცენტი გაკეთდა თვითმმართველობების გენდერული პოლიტიკის განხორციელების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე და არსებულ მექანიზმებზე. სამაგიდო კვლევის პარალელურად, განხორციელდა ვიზიტები შერჩეულ მუნიციპალიტეტებში და გაიმართა როგორც ფოკუს ჯგუფის, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები კვლევის სამიზნე ჯგუფებთან. კვლევის მესამე ეტაპზე, საბოლოო ანგარიშის და რეკომენდაციების მოსამზადებლად, გაანალიზდა და შეფასდა როგორც გამოთხოვილი, ისე ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

სახალხო დამცველის აპარატმა მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის კვლევის ფარგლებში განახორციელა 85 შეხვედრა, 800 პირის მონაწილეობით, 7 რეგიონში[6]. კვლევისთვის სამიზნე რეგიონებია:[7] იმერეთი[8], სამეგრელო[9], რაჭა-ლეჩხუმი[10], გურია[11], შიდა ქართლი[12], სამცხე-ჯავახეთი[13] და კახეთი[14].

---

[2]საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35.

[3]ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2014, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია 1994.

[4]კერძოდ, საქართველოს თვითმმართველობის კოდექსს, საქართველოს კანონს გენდერული თანასწორობის შესახებ, საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

[5]სახალხო დამცველის აპარატმა ყველა მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების, განხორციელებული პროექტების და შესაბამისი ბიუჯეტების შესახებ; ასევე სტატისტიკის შეგროვების, საბჭოს სხდომების, ინიციატივების, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უწყებებთან თანამშრომლობის, განხორციელებული ტრენინგების, გენდერული ბიუჯეტისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

[6]გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, კახეთი და შიდა ქართლი.

[7]კონკრეტული მუნიციპალიტეტები ასევე შეირჩა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ სამიზნე რეგიონების მიხედვით.

[8]საჩხერე, ჭიათურა, ქუთაისი, გელათი, წყალტუბო, სამტრედია, ვანი, ბაღდათი, ხარაგაული, ტყიბული და ზესტაფონი.

[9]ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მარტვილი, სენაკი და ხობი.

[10]ამბროლაური, ონი (სოფელი ღარი) და ცაგერი.

ინფორმაციის გამოთხოვისა და დამუშავების შემდეგ კი, აღნიშნული რეგიონებიდან კონკრეტული მუნიციპალიტეტები შემდეგი ინდიკატორების გათვალისწინებით შეირჩა:

- მიღებული აქვს დადგენილება გენდერული საბჭოს შექმნის შესახებ;
- ჰყავს მრჩეველი/პასუხისმგებელი პირი გენდერის საკითხებში;
- შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა ან ახორციელებს კონკრეტულ პროგრამებს/ , პროექტებს
- გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ვინაიდან კვლევა ძირითად აქცენტს აკეთებს გენდერული პოლიტიკის ეფექტიანობასა და ინტერსექციურობაზე, ყურადღება გამახვილდა განსხვავებული გამოცდილების მქონე ქალთა საჭიროებების ასახვის მიდგომებზე პოლიტიკის დოკუმენტებსა და პრაქტიკებში.

კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, თვითმმართველ ორგანოებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები/მრჩევლები, რიგ შემთხვევაში, თვითმმართველი ქალაქის მერები და მათი მოადგილეები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტებში მცხოვრები და სერვისის მიმღები ქალები, მათ შორის, სხვადასხვა საჭიროების მქონე ქალები, კერძოდ:

- მეწარმე ქალები;
- ძალადობის მსხვერპლები/გადარჩენილები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები;
- სოფლად მცხოვრები ქალები;
- დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები.

[11]ლანჩხუთი, ჩოხატაური და ოზურგეთი (სოფელი დვაბზუ).

[12]გორი (სოფელი ზარდიანთკარი), ქარელი, ხაშური (სოფელი ჩორჩანა) და კასპი (სოფელი ყარაფილა).

[13]ახალქალაქი, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი (სოფელი ტაძრისი) და ნინოწმინდა.

[14]სიღნაღი, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, ახმეტა, დედოფლისწყარო, თელავი და საგარეჯო.

კვლევის ძირითადი საკითხები

თვითმმართველი ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების ხედვის გამოვლენას რეგიონებში არსებული გენდერული უთანასწორობების აღმოფხვრის, განსაკუთრებით კი, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის დაგეგმილი აქტივობების მიმართულებით. ამასთან, კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:

- აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მისაღწევად
- გენდერული პოლიტიკის დაგეგმვისას, ითვალისწინებენ თუ არა მუნიციპალიტეტები რეგიონისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საჭიროებებს
- რამდენად ინტერსექციურია გენდერული საბჭოების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმები და გათვალისწინებულია თუ არა მათში სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა სპეციფიკური საჭიროებები
- რამდენად აისახება დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები გენდერულ თანასწორობასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე

არის თუ არა გამოყოფილი ადგილობრივ თვითმმართველობებში შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსი გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად? (რამდენად ასახავს ადგილობრივი ბიუჯეტი გენდერული თანასწორობის საჭიროებებს და როგორია მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტირების პროცესში).

კვლევის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის შეფასება, თუ რამდენად პასუხობს გენდერული საბჭოების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები იმ საჭიროებებს, რომლებიც სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ ქალებს გააჩნიათ.

კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანია გამოავლინოს თვითმმართველი ერთეულების გენდერული პოლიტიკის ნაკლოვანებები, ამასთან, ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტიურობისა და მონაწილეობის პრობლემები, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის შედეგები შეზღუდულია მოწოდებული ინფორმაციის პერიოდულობით და ასახავს 2019 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში კვლევის სამიზნე რეგიონებში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია და სამიზნე რეგიონებში განახორციელა შეხვედრები სხვადასხვა ჯგუფებთან, კვლევა დეტალურად არ აანალიზებს ყველა იმ პროექტს, რომლებსაც თვითმმართველი ერთეულები ახორციელებენ გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით.

1. ადგილობრივი თვითმმართველობების როლი გენდერული პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობებს უდიდესი როლი აკისრიათ, რადგან სწორედ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების კეთილდღეობა. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობების გენდერული პოლიტიკის შეფასებისას, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველობების გადამწყვეტ როლზე მიუთითებენ.

1.1. საერთაშორისო სტანდარტები

გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ და მათ როლზე არაერთ საერთაშორისო დოკუმენტშია მითითებული. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის ანალიზისას, მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად და ინსტიტუციური მექანიზმების გასაძლიერებლად, სხვადასხვა სტანდარტებს აწესებენ.

გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბერს მიღებული **კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**[15] განამტკიცებს ქალისა და კაცის თანასწორობას როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში. აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას და იღებენ ვალდებულებას, ყველა საჭირო საშუალებით შეიმუშაონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა[16]. ხელმომწერი მხარეები პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ასევე მიმართავენ ყველა საჭირო ზომას, ქალთა ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად[17].

გარდა კონვენციაში გაწერილი დებულებებისა, კომიტეტმა ასევე გამოსცა მთავარი რეკომენდაციები, რომლებიც მიემართება ხელმომწერ სახელმწიფოებს და მათში უფრო დეტალურად არის აღწერილი მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობები გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

გაეროს გენერალური ასამბლეის კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას[18], სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ქალების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიუხედავად, არსებობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ბარიერები, რომლებსაც ქალები

[15]რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/37372?publication=0

[16]ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი 2

[17]ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი 3

[18]კომიტეტის 23-ე რეკომენდაცია, მიღებულია კომიტეტის მე-16 სესიაზე, 1997 წელი; https://www.ohchr.org/en/hrbodies/cedaw/pages/recommendations.aspx

აწყდებიან. აღნიშნული ბარიერები კი ქალებს ხელს უშლის გადაწყვეტილების მიღების პროცეს-ში მონაწილეობაში. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა ვერ იქნება დემოკრატიული, თუ ქალები არ ჩაერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში[19].

რეკომენდაციაში გაწერილია ღონისძიებები, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა[20] უნდა განსაზღვრონ და განახორციელონ იმისათვის, რათა საჯაროდ არჩეულ პირებში სქესთა ბალანსს მიაღწიონ. ასევე, დარწმუნდნენ, რომ მთავრობის პოლიტიკის ფორმირების პროცესში ქალები და კაცები თანაბრად მონაწილეობენ და ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის თანასწორობის მიღწევას, დაძლეულია[21].

კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის აღსასრულებლად და გენდერული თანასწორობის მისაღწევად, უზრუნველყოს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების დანერგვა[22].

კომიტეტის მიერ საქართველოსადმი გაცემული დასკვნითი დებულებების მიხედვით, საქართვე-ლომ კონვენციის სრულად აღსასრულებლად და ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად, უნდა დანერგოს დროებითი სპეციალური ზომა, კვოტირების სისტემის სახით. აღნიშნული რეკომენდაცია მიზნად ისახავს ქალთა ინტეგრაციის ხელშეწყობას განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკისა და განათლების სფეროში. მე-6 პერიოდულ ანგარიშში რეკომენდაციის პასუხად აღნიშნულია[23], რომ საქართველოს პარლამენტში კვოტირების სისტემის დანერგვის შესახებ კანონპროექტმა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, თუმცა პროცესი კვლავაც მიმდინარეობს[24].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა, მშვიდობისა და კეთილდღეობის მისაღწევად შეიმუშავეს **2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი**, რომელშიც ასახულია ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი 17 მდგრადი განვითარების მიზანი. ამ დოკუმენტის მე-5 მიზანი ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგოების გაძლიერებაა[25].

მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი მიემართება სახელმწიფოებს, მათ შორის, ადგილობრივ ხელისუფლებებსაც, და განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების როლს ქვეყანაში გენდე-რული თანასწორობის მისაღწევად და ქალების გასაძლიერებლად. კერძოდ, აღნიშნული

[19]კომიტეტის 23-ე რეკომენდაცია (მე-13-14 პუნქტი), მიღებულია მე-16 სესიაზე, 1997 წელი; https://www.ohchr.org/en/hrbodies/cedaw/pages/recommendations.aspx

[20]კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოსაც, აკისრიათ ვალდებულება, გაეროს გენერალურ მდივანს კომიტეტის განსახილველად წარუდგინონ ანგარიშები საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ ან სხვა ზომებზე, რომლებიც წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიიღეს და გააცნონ ამასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი. შესაბამისად, საქართველომ სპეციალურად მისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე აღნიშნულ კომიტეტს მე-6 პერიოდული ანგარიში წარუდგინა.

[21]კომიტეტის 23-ე რეკომენდაცია (45-ე პუნქტი), მიღებულია მე-16 სესიაზე, 1997 წელი; https://www.ohchr.org/en/hrbodies/cedaw/pages/recommendations.aspx

[22]საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდულ ანგარიშებზე დასკვნითი მოსაზრებები (მე-11 პუნქტი); https://bit.ly/2OxLlLD

[23]საქართველოს მე-6 პერიოდული ანგარიში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების თაობაზე, 126-ე პუნქტი.

[24]საქართველოს პარლამენტში გენდერული კვოტირების შესახებ ინიციატივა პირველად 2003 წელს, მეორედ 2008 წელს, ხოლო მესამედ - 2017 წელს შევიდა კანონპროექტის სახით, რომელსაც 37 000 ამომრჩეველი აწერდა ხელს. 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს პირველი მოსმენით მხარი არ დაუჭირა.

[25]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზანი 5 https://sustainabledevelopment.un.org/sdg5

დოკუმენტი სახელმწიფოს მოუწოდებს, უზრუნველყოს ქალების სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა ხელისუფლების ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება. შესაბამისად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე უნდა იზრუნოს თვითმმართველ ერთეულებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე[26].

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა მარტო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, არამედ ხელისუფლების მიერ გონივრული პოლიტიკის შემუშავება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. მონაწილე მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს რეფორმები იმისათვის, რათა ქალებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა მიწისა და სხვა საკუთრების ფლობა, მემკვიდრეობა და სხვა ფინანსური რესურსები[27].

მდგრადი განვითარების მე-5 მიზანში ასევე საუბარია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობაზე. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია თვითმმართველ ერთეულებში ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოვლენასა და მათთვის შესაბამისი დაცვისა და დახმარების სერვისების მიწოდებაში. ასევე აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან ისეთი საჯარო სივრცეები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევასა და ცხოვრების ხელახლა დაწყებაში დაეხმარება[28].

ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლი გადამწყვეტია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესებში, შესაბამისად, მათ უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გააუმჯობესონ თვითმმართველ ერთეულში მცხოვრები ქალების ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური უფლებები. სწორედ ამიტომ, არსებითია, თვითმმართველმა ორგანოებმა, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელონ უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტებით.

გარდა ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტებისა, არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებიც, რომელთა მონაწილე მხარეც, საქართველო არ გამხდარა, თუმცა მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის კვლევის ფარგლებში მათი განხილვა მნიშვნელოვანია. ასეთი დოკუმენტებიდან აღსანიშნავია „**ევროპული ქარტია ქალების და კაცების თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში**“[29], რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის ფუნდამენტურ უფლებებს განსაზღვრავს. ამ დოკუმენტის ერთ-ერთი პრინციპი ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ყველა აქტივობაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებაა. შესაბამისად, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, პოლიტიკის დაგეგმვის, საჭიროებების გათვალისწინებისა და ინსტრუმენტების შემუშავებისას, მხედველობაში უნდა მიიღონ გენდერული ასპექტები, გენდერული მეინსტრიმინგის თუ გენდერული ბიუჯეტირების სახით. ქარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საჭიროებებზე მორგებული სამოქმედო გეგმები

[26]ადგილობრივი ხელისუფლების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში; https://bit.ly/37shJb9

[27]ადგილობრივი ხელისუფლების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში; მიზანი 5.ა, გვ 5; https://bit.ly/2Xx6klU

[28]ადგილობრივი ხელისუფლების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში; მიზანი 5.2 https://bit.ly/2pIb6Ri

[29]საქართველო აღნიშნული ქარტიის ხელმომწერი სახელმწიფო არ გამხდარა.

და პროგრამები, როგორც მთავარი ინსტრუმენტი. ამ პრინციპის მიხედვით, ადგილობრივმა და რეგიონალურმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა და პროგრამები, იმ ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა მათ აღსასრულებლად[30].

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლზე საუბრობს ასევე „**პარიზის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების გლობალური დღის წესრიგი ქალისა და კაცის თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში**“[31], რომელიც „ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში არჩეულ ქალთა გლობალურ კონფერენციაში“ მონაწილე მხარეებმა შეიმუშავეს. ხელმომწერი მხარეები, ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში ქალთა და კაცთა თანასწორობისა და ადეკვატური სერვისების უზრუნველყოფისას[32], ადგილობრივ ხელისუფლებას დიდ როლს აკისრებენ. ამ დოკუმენტის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად და გარანტირებული თანაბარი წარმომადგენლობისთვის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ქალების უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან[33], შექმნას და/ან გააძლიეროს არსებული თანასწორობის კომიტეტები. ასევე, უზრუნველყოს ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მოვლის სერვისები. აღნიშნული აქტივობები ქალებისთვის სამუშაო ტვირთის შემსუბუქებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართვას უზრუნველყოფს[34].

1.2. ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები

საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია[35], რომ სახელმწიფო ქალისა და კაცისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს უზრუნველყოფს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს კაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. თანასწორობის პრინციპის კონსტიტუციის დონეზე განსაზღვრა კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოსთვის გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ქალების გაძლიერების მნიშვნელობაზე. შესაბამისად, სახელმწიფომ, აღნიშნული პრინციპის მიხედვით, აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანაში ქალების გასაძლიერებლად და მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამასთან, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასებისას, მნიშვნელოვანია ისეთი კონსტიტუციური პრინციპის განხილვა, როგორიცაა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების

[30]ევროპული ქარტია ქალების და კაცების თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში, მე-6 პრინციპი; https://www.ccre.org/docs/charte_egalite_en.pdf

[31]საქართველო აღნიშნული ქარტიის ხელმომწერი სახელმწიფო არ გამხდარა.

[32]პარიზის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების გლობალური დღის წესრიგი ქალისა და კაცის თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში, მე-2 პუნქტი; https://bit.ly/2QE4Gxm

[33]პარიზის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების გლობალური დღის წესრიგი ქალისა და კაცის თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში, 1-ლი პუნქტი; https://bit.ly/2QE4Gxm

[34]პარიზის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების გლობალური დღის წესრიგი ქალისა და კაცის თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში, მე-2 პუნქტი; https://bit.ly/2QE4Gxm

[35]საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324; საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლი, მე-3 ნაწილი;
[36]საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4.

დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“[36]. რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულების როლი ხელისუფლების განხორციელების პროცესში საკმაოდ დიდია. აღნიშნული პრინციპი მიუთითებს თვითმმართველი ერთეულების მნიშვნელობაზე ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ქალების გაძლიერებაში.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ვალდებულებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს უფრო დეტალურად აღწერს. ამ კოდექსის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს უფლება აქვთ გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, ანუ მუნიციპალიტეტს აქვს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი[37].

აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის თავიდან ასაცილებლად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად[38].

თვითმმართველი ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს[39]. თვითმმართველი ერთეულები თავად წყვეტენ მათი საქმიანობის სფეროს, მიმართულებასა და პრიორიტეტებს. შესაბამისად, მათი როლი და მონაწილეობა, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში, ძალიან დიდია.

საქართველოს კანონის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ასევე, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ხელშეწყობა[40]. კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობები უწევენ ზედამხედველობას გენდერული თანასწორობის დაცვას. ასევე, თვითმმართველი ერთეულები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს დისკრიმინაციის გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად[41].

თვითმმართველი ორგანო ასევე უფლებამოსილია, დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება[42]. თვითმმართველი ორგანოს მერი, ბრძანების საფუძველზე, მუნიცი-პალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესასწავლად, განსახორციელებელი საქმიანობის დასაგეგმად და

[37]საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 2.

[38]საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, მე-4 ნაწილი.

[39]საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19 ქვეპუნქტი „ბ“.

[40]საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 2.

[41]საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 13, ნაწილი 1-ლი.

[42]საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 13, ნაწილი 11.

[43]საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 13, ნაწილი 12.

ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს[43].

საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ადგენს, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, თვითმმართველ ერთეულში არსებული პროგრამების, პროექტების და გეგმების დამტკიცებისას და შემუშავებისას დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა უნდა გამოირიცხოს[44]. აღნიშნული ჩანაწერი თვითმმართველ ერთეულებს ავალდებულებს, რომ თავიანთ საქმიანობაში გენდერულად მგრძნობიარეები იყვნენ და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მოქალაქის საჭიროება თანაბრად გაითვალისწინონ.

არსებული საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების შესასრულებლად განსაკუთრებული როლი ენიჭება ადგილობრივ დონეზე არსებულ მუნიციპალიტეტების **გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებს**. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან 57-ს აქვს შემუშავებული[45]. ამ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას (53%) მიღებული აქვს გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმები.

აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში (61%), გენდერული თანასწორობის საბჭოებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი არ გააჩნიათ. თუმცა პრაქტიკაში გვხვდება მაგალითებიც, როდესაც საბჭოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მათთვის გამოყოფილი თანხა 3 000 ლარიდან 31 000 ლარამდე მერყეობს[46].

სამოქმედო გეგმებში დეტალურად არის გაწერილი გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხის-მგებელი და პარტნიორი უწყებები. გეგმის მიხედვით, პარტნიორ უწყებებად საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ცენტრალური ხელისუფლება სახელდება. მისასალმებელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების პარტნიორ უწყებად აღნიშვნა მიუთითებს მუნიციპალიტეტის მზაობაზე, ითანამშრომლოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, და გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები მათთან ერთად განახორციელოს.

გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შესწავლისას, იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული სამოქმედო გეგმები, ძირითადად ფორმალურია, არ არის მორგებული კონკრეტული რეგიონისა და მუნიციპალიტეტის სპეციფიკურ მდგომარეობაზე და ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად კი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებას.

[44]საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 13, ნაწილი 2.

[45]ინფორმაცია მიღებულია 2019 წლის მაისის მდგომარეობით. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა შემუშავებული არ აქვთ შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ლენტეხი, მესტია, ფოთი, აბაშა, თიანეთი, თერჯოლა და ხონი.

[46]15 მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმა; 4 მუნიციპალიტეტს - 2019 წლის, 6 მუნიციპალიტეტს - 2018-2020 წლის. ხოლო 2018 და 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმა მხოლოდ 1 მუნიციპალიტეტს აქვს.

1.3 ინსტიტუციური მექანიზმები

ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მისაღწევად შექმნილი ინსტიტუციური მექანიზმები, რაც ასევე უწყობს ხელს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის შეთანხმებულ მუშაობას.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მექანიზმია **საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო**, რომელიც საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი ორგანოა[47]. აღნიშნული საბჭო საქმიანობის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით ხელმძღვანელობს. მისი ძირითადი მიზანი გენდერული თანასწორობის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფაა[48].

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია თვითმმართველ ერთეულებთან ურთიერთობის პროცესში, რადგან მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნულ საბჭოსთან შეთანხმებული მუშაობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ქმნის[49]. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოები საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოს საქმიანობის ანგარიშებს წარუდგენენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში, საკრებულოში არსებული **გენდერული თანასწორობის საბჭოების** არსებობა, რომელთა ფორმირება 2017 წელს დაიწყო, თუმცა მათი უმეტესი (65%) ნაწილი 2018 წელს შეიქმნა და საქმიანობა სწორედ ამ პერიოდში დაიწყო[50]. საბჭოს ფუნქციები, უფლებამოსილებები, შემადგენლობა და მუშაობის წესი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება. გენდერული თანასწორობის საბჭოების დებულების მიხედვით, საბჭოს წევრები 3 თვეში ერთხელ იკრიბებიან და საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავენ[51].

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების ფორმირება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაა. ყოველი მუნიციპალიტეტი თავის დებულებას თვითონვე ამტკიცებს, თუმცა თითოეული მუნიციპალიტეტის ფუნქცია-მოვალეობები და საბჭოს შემადგენლობა ერთმანეთისგან არ განსხვავდება. საბჭო ასევე შეიმუშავებს გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო სამოქმედო გეგმას, რომლის მიზანიც გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის მუნიციპალიტეტის საქმიანობის განსაზღვრაა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვა. ასევე, გენდერული დისკრიმინაციის თაობაზე წარდგენილი განცხადებების განხილვა,

[47]საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო, ხელმისაწვდომია https://bit.ly/2o27yrM

[48]საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, მუხლი 1-ლი, ნაწილი 1-ლი.

[49]საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხლი 13, ნაწილი 11

[50]ინფორმაცია გამოთხოვილია 2019 წლის 13 მაისს.

[51]თუმცა, 2019 წლის მაისში გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, არსებობენ მუნიციპალიტეტები, რომლებსაც არცერთი სხდომა არ აქვთ ჩატარებული (ფოთი, აბაშა, თიანეთი საჩხერე) ან 2018 წლიდან დღემდე, ჩატარებული აქვთ 1-2 სხდომა (ამბროლაური, ლენტეხი, ხობი, ადიგენი, ბორჯომი, ყაზბეგი, ყვარელი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გორი, ჭიათურა).

კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ჩანაწერი გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიშვალდებულს ხდის საკრებულოს მიმართ და შესაბამისად, მისი საქმიანობის შემფასებლად საკრებულო გვევლინება.

მუნიციპალიტეტის მიერ ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულების ხელშესაწყობად და ადგილობრივ დონეზე შესასრულებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით[52], საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მერიაში განსაზღვრულია **გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირი,** რომელიც მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე ინიშნება. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მათ მიმართ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში[53] გენდერის მრჩევლები დაკისრებულ მოვალეობებს სხვა უფლება-მოვალეობების პარალელურად ასრულებენ.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს, იგი თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, ამზადებს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე წარსადგენ განსახილველ საკითხებს და სხდომაზე განხილულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის შესაბამის პირებს წარუდგენს. მისი მოვალეობაა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამორიცხვა და აღმოფხვრაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონში განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობებისგან განსხვავებით, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს ძირითადად მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის ფუნქცია აკისრიათ და უმეტეს შემთხვევაში ტექნიკური ხასიათის სამუშაოს ასრულებენ[54].

[52]საქართველოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მ-13 მუხლის 12 ნაწილი. .

[53]აქვე აღსანიშნავია, რომ არსებობს კარგი პრაქტიკის მაგალითები (მარტვილი, ახმეტა), სადაც მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ასრულებს კანონით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს: განიხილავს შემოსულ განცხადებებს, ხვდება მოსახლეობას და ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს.

[54]როგორიცაა გენდერული თანასწორობის საბჭოების დღის წესრიგისა და სხდომის ოქმის შედგენა.

2. ძირითადი მიგნებები

შეხვედრებმა გამოკვეთა ის პრობლემები, ტენდენციები და მიგნებები, რაც, ერთის მხრივ, ინსტიტუციური მექანიზმის მდგრადობას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

2.1. გენდერული მეინსტრიმინგი მუნიციპალიტეტებში

გენდერული თანასწორობის საკითხების დანერგვას ყველა ტიპის საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის ორგანიზაციები და ინსტიტუტები, რომლებიც აცნობიერებენ გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკის მნიშვნელობას, ორგანიზაციული განვითარების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან. გარდა ორგანიზაციული განვითარებისა, გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერის მრჩევლების დანიშვნის და გენდერული საბჭოების ფორმირების პროცესი გენდერული მეინსტრიმინგისკენ გადადგმული ნაბიჯია. ეს პროცესი ასევე მოიცავდა სამოქმედო გეგმების შემუშავებას თითოეული მუნიციპალიტეტისთვის. ამ ეტაპზე გენდერული თანასწორობის საბჭოები საკრებულოს დონეზე შექმნილია ყველა მუნიციპალიტეტში, გენდერზე პასუხისმგებელი პირების უმეტესობა კი, რომლებიც მერიაში არიან დასაქმებულნი, ძირითადად ითავსებენ აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობებს.

კვლევამ გამოავლინა, რომ საბჭოების უმეტესობა ამ დრომდე ჩატარებულ სხდომებზე უმეტესწილად საბჭოს ფორმირების, ფუნქცია-მოვალეობებისა და სამომავლოდ დასაგეგმი ღონისძიებების საკითხებს განიხილავს. რაც შეეხება განხორციელებულ აქტივობებს, საბჭოების რესურსი ძირითადად მიმართულია საბჭოს დებულების და სამოქმედო გეგმების დახვეწაზე, სადღესასწაულო დღეების აღნიშვნაზე[55], თემატურ საინფორმაციო კამპანიებში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფასა და დახმარების პროგრამების შემუშავებაზე.

> *„დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ დადებითად შეიცვალა წინა წლებთან შედარებით, მაგრამ გენდერის მიმართ განწყობები მაინც მტკივნეულია ჩვენს რაიონში. როდესაც შეიქმნა პრეცედენტი ა(ა)იპის[56] სახით, ვიღაცებისთვის ეს სასაცილო თემა იყო. ამ ეტაპზე გენდერულ საკითხებზე მსჯელობამ სასაცილოდან ნეიტრალურ ფორმატში გადაინაცვლა და უფრო მეტი შეხვედრაა საჭირო მოსახლეობასთან, ამ თემების სერიოზულად აღსაქმელად“ [შეხვედრა ცაგერის გენდერის საბჭოსთან]*

გენდერული თანასწორობის საბჭოებთან შეხვედრისას, პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო მათი ხედვა და გამოცდილება გენდერული თანასწორობის კუთხით მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ. ასევე, შეგვეფასებინა მათი მგრძნობელობა და დამოკიდებულება არსებული გამოწვევების მიმართ. ჩატარებული შეხვედრები ცხადყოფს, რომ ხშირად, საბჭოს წევრებს უჭირდათ დასმული შეკითხვის მნიშვნელობის[57] გააზრება, რაც გენდერის ზოგადი

[55] 16-დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, ქალთა საერთაშორისო დღე, დედის დღე.

[56] გენდერული თანასწორობის მიმართულებით პრობლემების გადასაწყვეტად ცაგერის მერიამ ჩამოაყალიბა ა(ა)იპ „ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი“, რომელიც ანგარიშვალდებულია მერიასთან და მისი ბიუჯეტი შეადგენს 29 200 ლარს.

საკითხების მიმართ მათ დაბალ ცნობიერებაზე მიუთითებს; შესაბამისად, საჭირო ხდებოდა მათთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება კონტექსტის აღსაქმელად, რაც ასევე მოიცავდა ტერმინოლოგიის განმარტებას, სტატისტიკის მოშველიებასა და კონკრეტული მაგალითების დასახელებას. შესაბამისად, გენდერის საბჭოებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შეხვედრებისას პარალელურად მიმდინარეობდა საბჭოს წევრების ცნობიერების ამაღლება არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რასაც შეხვედრის დასასრულს თავადაც აცნობიერებდნენ და ადასტურებდნენ.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ საბჭოს წევრები ვერ ასახელებენ რეგიონისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საჭიროებებს და მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის მათეული შეფასება ზედაპირული ხასიათისაა. შეხვედრებისას ასევე გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც საბჭოს წევრები ვერ იაზრებდნენ კვლევის მთავარი აქცენტის მნიშვნელობას ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირთა მწირ ცოდნასა და მგრძნობელობაზე ქალის მიმართ არსებულ დისკრიმინაციასა და ჩაგვრაზე.

აღსანიშნავია ცალკეულ მუნიციპალიტეტებში გენდერის საბჭოს კაცი წევრების მიერ შეხვედრის ადრე დატოვების, ან ძირითადად მსმენელის როლში ყოფნის ტენდენცია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათი ცნობიერების დაბალ დონეზე ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

ხშირია შემთხვევა, როდესაც გენდერის მრჩევლებმა არ იციან თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ და საბჭოს სხდომებზე ძირითადად ტექნიკურ სამუშაოებს ასრულებენ, შეხვედრის ორგანიზებისა და ოქმის შედგენის სახით. შეხვედრებიდან ვლინდება, რომ უმრავლეს შემთხვევაში საბჭოს ყველა წევრის გადამზადება ერთობლივი ტრენინგის სახით იშვიათად ხდება და მათი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს. ამასთან, მაშინაც კი, როდესაც საბჭოს ცალკეული წევრი ესწრება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგს, დამკვიდრებული არ არის საბჭოს სხვა წევრებისთვის ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა.

საბჭოს წევრების ცნობიერების ამაღლებაზე უმთავრესად არასამთავრობო ორგანიზაციები[58] ზრუნავენ. საბჭოს წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგების თემატიკა ძირითადად გენდერის ზოგად საკითხებს, ქალთა მიმართ ძალადობას და ოჯახში ძალადობას, გენდერული სტატისტიკის შეგროვებას, გენდერულ ბიუჯეტირებას, ადრეულ ასაკში ქორწინებას, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს, იშვიათად სექსუალურ შევიწროებას და ლგბტ+ თემატიკას ეხება. ასევე, საბჭოს წევრებისთვის, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით[59], საზღვარგარეთ სხვადასხვა სასწავლო ვიზიტები განხორციელდა.

რაც შეეხება თავად ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, მთავარი აქტორები აქაც ადგილობრივი[60] და საერთაშორისო[61] ორგანიზაციები არიან. განხორციელებული შეხვედრების ძირითადი თემებია ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა და გენდერული თანასწორობის ზოგადი პრინციპების გაცნობა. გარდა ამისა, ადგილობრივი ორგანიზაციები

[57]ფოკუს ჯგუფის შეხვედრებზე ხშირად დასმული შეკითხვა რეგიონში არსებული მდგომარეობის და პრობლემების შესახებ, გაგებული იყო, როგორც კითხვა მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთა ბალანსის შესახებ.

[58]საბჭოების ცნობიერების ამაღლებაზე ძირითადად მუშაობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები - „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, „თანხმობა“, ფონდი „ტასო“ და ფონდი „სოხუმი“; ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები - NDI, GIZ, UN Women.

[59]ახმეტის საბჭოს წევრები მუნიციპალიტეტების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ბერლინში იმყოფებოდნენ. ასევე, ხაშურის საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ შვედეთში.

საჭიროებათა კვლევას სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ეწევიან და ინფორმაციას აწვდიან მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. ხშირ შემთხვევაში, ქალთა საკითხებზე მომუშავე რეგიონული ორგანიზაციები გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებიც არიან და აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. თუმცა, მათი აქტიური მუშაობის მიუხედავად, მოსახლეობის ჩართულობა მსგავსი ტიპის შეხვედრებში მაინც დაბალია და ინფორმაციის ძირითად წყაროდ მაინც ტელევიზია და პრესა მიიჩნევა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ფრაგმენტულია და მოსახლეობის ინფორმირებულობას ვერ უზრუნველყოფს.

მუნიციპალიტეტებში ინსტიტუციური მექანიზმის დამკვიდრებისას გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა აქვს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს. გენდერის საბჭოებთან ჩატარებული შეხვედრებიდან ნათელია, რომ საბჭოს წევრები არ ფლობენ ინფორმაციას გენდერული ბიუჯეტის სპეციფიკაზე, საჭიროებასა და მეთოდოლოგიაზე. საბჭოების უმრავლესობას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და სერვისებზე გამოყოფილი თანხები ძირითადად ინტეგრირებული აქვს პროგრამულ ბიუჯეტში, რომელიც ასახულია თემატურად მსგავს მუხლებში. ხშირ შემთხვევაში, გენდერულ ბიუჯეტირებაზე კითხვის დასმა საბჭოს წევრებისთვის გულისხმობდა არაერთი დამაზუსტებელი კითხვის დასმას და პარალელურად, სურვილს, მიიღონ უფრო ღრმა და ამომწურავი ინფორმაცია ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შესახებ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ მუნიციპალიტეტებშიც კი, სადაც საბჭოს წევრებს გავლილი აქვთ ტრენინგი გენდერული ბიუჯეტირების თავისებურებებზე, უჭირთ გამოკვეთონ ქალების სპეციფიკური საჭიროებები, რაც გულისხმობს დამატებითი პროგრამების, პროექტებისა და ინიციატივების შექმნას ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანი მიგნებაა ისიც, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმატებულ პრაქტიკას-თან დაკავშირებით არ ხდება ინფორმაციის გაცვლა და შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობს პლატფორმა, რაც სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულს გაუადვილებდა კონკრეტული საკითხე-ბის გადაწყვეტას, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, როდესაც მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი[62]. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომუნიკაციის პრობლემა მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან[63], რასაც სისტემური სახე აქვს. ჯერ კიდევ არ ხდება სხვადასხვა რეკომენდაციების, ტენდენციების გამოვლენის, საჭიროებათა კვლევის, მიგნებებისა და პრობლემური საკითხების გაზიარება როგორც თავად საბჭოებს შორის, ასევე - ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

თავად საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ მათთვის ამგვარი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, ყურად-ღება გამახვილდა რეგიონებისთვის გამართულ ფორუმ-შეხვედრებზე, როგორც წარმატებულ პრაქტიკასა და შესაძლებლობაზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გააცნონ რეგიონში არსებუ-ლი პრობლემები.

[60]მოსახლეობის მხრიდან დასახელებული და აღნიშული ადგილობრივი ორგანიზაციები: „ქალთა ფონდი საქართველოში“, ფონდი „სოხუმი“, ფონდი „ტასო“, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, ასოციაცია „ჰერა“, „ათინათი“, „დემოკრატ ქალთა საზოგადოება“, „თანაზიარი“, „დეა“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის (PHR), ასოციაცია „თანხმობა“, „გვირილა“, „ანდამატი“, „ვაკეთოთ ერთად“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ბემონი“, „ფაო“, „იმედი“, „ელკანა“, „ფერმერ ქალთა ასოციაცია“.

[61]მოსახლების მხრიდან დასახელებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები: NDI, IRI, World Vision, წითელი ჯვარი, GIZ, UN Women.

[62]მაგალითად, ბათუმს, ოზურგეთს, ქუთაისს და სენაკს მემორანდუმი აქვს გაფორმებული და ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ.

[63]თემატურ სამინისტროებთან თანამშრომლობის მხრივ, ძირითადად დასახელდა სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო.

2.2. ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო შეგვემოწმებინა, რამდენად მონაწილეობენ ქალები საჯარო განხილვებსა და სხვადასხვა ტიპის შეხვედრებში, მათ შორის სოფლის კრებებზე, სადაც ჟღერდება მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და მსჯელობენ მათი გადაჭრის გზებზე. გარდა საჯარო განხილვებზე დასწრებისა, კვლევისთვის საინტერესო იყო იმაზე დაკვირვებაც, თუ რა საკითხების ლობირებას ახდენდნენ ქალები ამ შეხვედრებზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოების ინფორმაციის თანახმად, ქალები არათუ ესწრებიან საჯარო განხილვებსა და სოფლის კრებებს, არამედ, უფრო მეტად არიან ჩართულები პრობლემების წამოჭრასა და ინიციატივების გაჟღერებაში, აქტიურად აყენებენ დღის წესრიგში ინფრასტრუქტურულ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ და სოციალურ საკითხებს.

თავად ადგილობრივ და სოფლად მცხოვრებ ქალებთან ჩატარებული შეხვედრებიდან კი ირკვევა, რომ სოფლის კრებები თითქმის აღარ ტარდება. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. საჯარო შეხვედრებში დაბალი მონაწილეობის მიზეზად ასევე სახელდება მუნიციპალიტეტის მიმართ უნდობლობა, რადგან ისეთი განცდა ეუფლებათ, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მათი პრობლემები მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდება. ასევე ფიქრობენ, რომ საჭიროებების კვლევებსაც მხოლოდ ფასადური სახე აქვს, რაც საბოლოოდ მათში ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იწვევს.

გარდა მონაწილეობისა, კვლევის საგანი იყო ისიც, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ქალების მიერ წამოჭრილი საკითხები პოლიტიკის დოკუმენტსა და მიზნობრივ პროგრამებში და რამდენად მაღალია მუნიციპალიტეტების მიერ პრობლემის გამოვლენის და მათი გადაჭრის მაჩვენებელი. ამ მიმართულებით, ძირითადად თავს იჩენს ქალების უარყოფითი გამოცდილება მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობისას, რომლის დროსაც აქცენტი კეთდება ბიუროკრატიულ პროცედურებზე და დაინტერესების ნაკლებობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა ინფორმირებულია პრობლემის შესახებ.

ეს ასევე დადასტურდა გენდერის საბჭოებთან შეხვედრისას, სადაც მხოლოდ ერთეულმა მუნიციპალიტეტებმა გაიხსენეს ქალების მიერ წამოჭრილი პრობლემის წარმატებით გადაჭრის შემთხვევები[64]. თუმცა, მისასალმებელია, რომ საბჭოები აცნობიერებენ და გამოთქვამენ მზაობას, რომ სავალდებულო და აუცილებელია საზოგადოებრივ პროცესებში ქალების მეტი მონაწილეობა, რასაც სახელმწიფოსგან მეტი ხელშეწყობა სჭირდება.

> *„ქალს საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ გარეთ გამოვიდეს და ჩაერთოს პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. ამიტომ, ქალს მეტად უნდა შეუწყო ხელი დასაქმებაში, თუნდაც საზაფხულო ბაღის გახსნით“ [შეხვედრა ოზურგეთის გენდერის საბჭოსთან].*

აღსანიშნავია, რომ ქალთა თანაბარი მონაწილეობა და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში[65],

[64]დასახელებული მაგალითები ძირითადად ინფრასტრუქტურულ და ჯანდაცვის საკითხებს ეხებოდა.

[65]კვლევის ფარგლებში პრობლემა გამოვლინდა სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. მაგალითად, საგარეჯოში, იორმუღანლოს თემის შეხვედრაზე, ქალებმა განაცხადეს, რომ სოფლის პროგრამების პროექტების განხილვას ქალები საერთოდ არ ესწრებოდნენ, შესაბამისად, საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მათი საჭიროებები არ ასახულა.

სადაც კიდევ ერთი დამატებითი გამოწვევაა ენის ბარიერი. საჯარო შეხვედრებზე ქალების პასიურობის სხვა მიზეზებად ასევე დასახელდა მიგრაციის ფემინიზაცია და საოჯახო საქმე, რომელსაც პარალელურად თან ახლავს შიდა სამეურნეო საქმეებზე პასუხისმგებლობაც.

დამატებითი ბარიერია ისიც, რომ მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელ და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ძირითადად კაცები არიან დასაქმებულები, რაც, შესაძლოა, ერთგვარად განაპირობებდეს ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხსაც. ასევე, სამეგრელოში მოსახლეობასთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ სოფლის პროგრამების დაფინანსებისას, სადაც თავად მოსახლეობა წყვეტდა კონკრეტული სოფლის ბიუჯეტის განკარგვის მიმართულებებს, ძირითადად ისეთ თემებს ენიჭებოდა უპირატესობა, რაც ქალების მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენდა.

რეგიონულ დონეზე დიდ როლს თამაშობენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ერთგვარ ფასილიტაციას ახდენენ ადგილობრივ მოსახლეობას, სამოქალაქო სექტორსა და თვითმართველობას შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ იმ რეგიონებში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები დამაკავშირებელ რგოლია მოსახლეობასა და გენდერული თანასწორობის საბჭოებს შორის, გაცილებით მაღალია ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა არსებულ სერვისებზე.

2.3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

კვლევის ფარგლებში გადამწყვეტი იყო მუნიციპალიტეტების მხრიდან კონკრეტული საქმიანობის და ინიციატივების გაცნობა, რომლებიც ადგილობრივად მცხოვრები ქალების, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისკენ არის მიმართული.

საყურადღებოა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმებში ასევე ვხვდებით ჩანაწერს მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულების შესახებ, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებით. აქტივობების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიზანია „სოფლად მცხოვრები ქალების, მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამების უზრუნველყოფა და ფინანსური თანამონაწილეობა[66].“ შესაბამისად, გეგმის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ქალების, უფრო კონკრეტულად კი, ქალთა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერება და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის მიერ თვითმმართველი ორგანოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტების უმრავლესობას (70%) არ აქვს გატარებული შესაბამისი ღონისძიებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით[67]. ხოლო დანარჩენი მუნიციპალიტეტის საქმიანობა/აქტივობა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ქალებისთვის პროექტის წერის უნარ-ჩვევებისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში ტრენინგების ჩატარებით, თვითმმართველი ერთეულის მხრიდან საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფითა და მოწყვლადი ქალებისთვის ერთჯერადი დახმარებით შემოიფარგლება. ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა

[66]აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამოქმედო გეგმების შაბლონურობისა, სამოქმედო გეგმებში ჩამოთვლილია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებული მოწყვლადი ჯგუფები: მაგალითად, იძულებით გადაადგილებული ქალები, შშმ პირები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები.

[67]ინფორმაცია გამოთხოვილია 2019 წლის მაისის მდგომარეობით.

ტიპის საინფორმაციო შეხვედრების სივრცედ ასევე სახელდება „ქალთა ოთახები“.[68]

ჩატარებულმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, მინიმალურია. დაბალია თავად გენდერული საბჭოების წევრების ხედვა და ზოგადი ცნობიერება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად განსახორციელებელი აქტივობების შესამუშავებლად. მიიჩნევენ, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება უფრო ბიზნესის პრეროგატივაა, ხოლო მათი წვლილი ამ საკითხებში მინიმალური უნდა იყოს.

შეხვედრებმა აჩვენა, რომ ქალების ძირითადი შემოსავლის წყაროა შემდეგი სფეროები: საჯარო სამსახური, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სოფლის მეურნეობა, ტურისტული ბიზნესი, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მიწათმოქმედება, სამკერვალო, სერვისის სფერო, სეზონური სამუშაოები, პენსია.

გარდა ამისა, რეგიონებში დიდი გამოწვევაა დასაქმება, რის გამოც ადამიანების შემოსავლის მთავარ წყაროდ სოციალური დახმარების მიღება სახელდება. საყურადღებოა ისიც, რომ საკრებულოს წევრთა უმეტესობა და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი უარყოფითად აფასებს სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას. მათი აზრით, უმჯობესია სახელმწიფომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაზე იზრუნოს, რადგან ფულადი დახმარება ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო გაძლიერებას. ამ მხრივ, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სიღარიბე და უმუშევრობა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის სერიოზული პრობლემაა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რეგიონებში ძალიან მაღალია მიგრაციის ფემინიზაცია, რაც გულისხმობს ქალი მიგრანტების დიდ რაოდენობას. გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ქალები თავდაპირველად დროებით მიდიან სამუშაოდ, თუმცა მათი დიდი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება. ასეთი ტიპის ოჯახებისთვის ძირითადი შემოსავლის წყაროა ფულადი გზავნილები, ხოლო მიგრაციის ქვეყნებად ძირითადად იტალია, ისრაელი, თურქეთი, რუსეთი და საბერძნეთი სახელდება.

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას პირდაპირი კავშირი აქვს ქალთა პროფესიულ განათლებასთან. რეგიონებში დიდ პრობლემას წარმოადგენს პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და სასწავლებლების სიმცირე. გარდა ამისა, დიდი გამოწვევაა მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობაც[69], რაც ორმაგად ართულებს სოფლად მცხოვრები ქალების ხელმისაწვდომობას აღნიშნულ სასწავლებლებზე.

გარდა ამისა, საზოგადოებაში კვლავ დამკვიდრებულია სტერეოტიპული შეხედულება, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნა პრესტიჟულად არ მიიჩნევა. მეორე მხრივ, პრობლემურია თავად პროფესიული სასწავლებლების მიერ გაცემული სერტიფიკატის ხარისხიც, რაც დასაქმებისთვის არ არის საკმარისი. არაერთხელ დასახელდა არსებული პროგრამების სიმცირე და „კაცური პროფესიების“ სიმრავლე, რომლებიც ძირითადად ისევ კაცებით არის დომინირებული და ქალები კვლავ თავს იკავებენ განათლება მიიღონ STEM

[68]მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ ამჟამად ფუნქციონირებს საქართველოს ოთხ რეგიონში - ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა და კახეთი. ეს არის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი ღია სივრცე, საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს/წაახალისოს ქალების და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

[69]წყალტუბოში არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“ აფინანსებს გარკვეული ბენეფიციარებისთვის ტრანსპორტირების ხარჯებს.

პროფესიებში[70]. რეგიონებში განსაკუთრებით დეფიციტურია სასოფლო-სამეურნეო პროფესიები და ამ მიმართულებით კადრების სიმცირე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმების კუთხით საჭიროებები მუნიციპალიტეტების დონეზე გამოვლინდეს, პროფესიულ სასწავლებლებში კი ისეთი პროფესიები გაჩნდეს, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილზე არსებული ადამიანური რესურსის გამოყენებას, და მეორე მხრივ, უფრო სისტემატურს გახდის მოთხოვნა-მიწოდებას.

საყურადღებოა ისიც, რომ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად ქალისთვის კვლავ რჩება ოჯახზე ზრუნვის ტვირთი. აღნიშნული პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ქალის მიერ შესრულებელ საოჯახო საქმეებზე, რაც მაქსიმალურად ამცირებს საკუთარი განვითარებისთვის დახარჯულ დროს და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

> *„საოჯახო შრომის ტვირთი ძირითადად ქალზე დგას და ისინი არიან ვალდებულები საოჯახო საქმე აკეთონ. განათლება ქალზეა დამოკიდებული, ჯანმრთელობაზე ქალია პასუხისმგებელი, სისუფთავე, ოჯახის წევრების კომფორტიც ქალზეა, ქმრის ბედნიერებაზეც ქალია პასუხისმგებელი“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ხარაგაულში]*

ჩატარებული შეხვედრები ადასტურებს, რომ საოჯახო საქმე კვლავ ქალის პასუხისმგებლობად და მოვალეობად აღიქმება, თუმცა გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ახალგაზრდა თაობაში და აღზრდის სისტემის ცვლილებაც მეტნაკლებად ხელს უწყობს კაცების მონაწილეობას საოჯახო საქმეებში. მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემად რჩება კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა, და ეს საკითხი კვლავ უკავშირდება საზოგადოებაში დამყარებულ სტერეოტიპულ შეხედულებებსა და წინასწარგანწყობებს, რაც გამორიცხავს კაცის როლს ბავშვის აღზრდის პროცესში. დეკრეტული შვებულებით სარგებლობა პრობლემაა კერძო სფეროში დასაქმებული ქალებისთვისაც, განსხვავებით საჯარო სამსახურისგან, სადაც ეს რეგულაცია მეტნაკლებად მოწესრიგებულია.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პროგრამების არსებობას. კვლევის ფარგლებში დასახელდა მეწარმეობის მხარდამჭერი 2 პროგრამა[71]: „აწარმოე საქართველოში“ და „დანერგე მომავალი“. მისასალმებელია, რომ მოსახლეობის ცნობიერება მაღალია აღნიშნული პროგრამების შესახებ, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა არაერთი გამოწვევა, რაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორია. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“ არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს როგორც მეწარმეობის განვითარებას, ასევე, თავად მეწარმეების მხარდაჭერას ფინანსური თუ ინფორმაციული გზით. აღინიშნა, რომ პროგრამით მოსარგებლეებისთვის ჩატარებული ტრენინგები ფორმალური ხასიათისაა და რეალურად ვერ უზრუნველყოფს პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო ცოდნის მიღებას. გარდა ამისა, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ბარიერია ისიც, რომ ტრენინგები ძირითადად რაიონულ ცენტრებში ტარდება, რის გამოც მათ არ ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მსგავს შეხვედრებში.

სოფლად მცხოვრები ქალები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო პროგრამის შედგენისას უნდა

[70]STEM პროფესიები გულისხმობს მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიას და მათემატიკას.

[71]პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტები ძირითადად შემდეგ სფეროებს ფარავდა: მეფუტკრეობა, სათბურები, სასტუმროს ბიზნესი, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, სარიტუალო მომსახურება, ატელიე, ესთეტიკის ცენტრი, ფიტნეს კლუბი და სხვ.

გაითვალისწინონ კონკრეტული რეგიონის სპეციფიკა და საჭიროებები და დაფინანსებისას პრიორიტეტები შესაბამისად განსაზღვრონ. მეწარმე ქალებისთვის გამოწვევად რჩება პროექტის დაგეგმვის, ფინანსური რისკების სწორად შეფასების და პროექტის განხორციელების მწირი უნარ-ჩვევებიც.

მეწარმე ქალების მიერ მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა საპროექტო განაცხადზე უარის შემთხვევაში დასაბუთებული უარის არარსებობაც, რაც მომავალში გაუადვილებდათ ხარვეზის გამოსწორებას და შესაბამისად მომზადებას. პროგრამაზე ხელმისაწვდომობა ორმაგი ბარიერია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის, რაც განპირობებულია ენის არცოდნით და წინასწარ განსაზღვრული „კაცური და ქალური“ ბიზნესით. მაგალითისთვის, ახალქალაქში ქალები საუბრობდნენ ინფორმაციის ნაკლებობაზე და მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ კაცისთვის გაცილებით მარტივია აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა. ხოლო საგარეჯოში გაიხსენეს მაგალითი, როდესაც საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარებულ შეხვედრას, სადაც ბიზნესის გეგმის შემუშავების საკითხებზე მსჯელობდნენ, მხოლოდ კაცები ესწრებოდნენ.

> *„ძალიან ცოტა ქალი რისკავს ისეთი ბიზნესის წამოწყებას, სადაც ხალხთან არის საჭირო კომუნიკაცია. ამისთვის საჭიროა გქონდეს სანაცნობო წრე და გარდა ამისა, ქალს კაცისგან სჭირდება ნებართვა. მაგალითად, ქალი ვერ ჩაუჯდება უცხო კაცს მანქანაში და ვერ წავა საყიდლებზე.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ახალქალაქში]*

საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელი მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან შესაძლებელია გამოიყოს უძრავი ქონების ფლობის მაჩვენებელი. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს გენდერული უთანასწორობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობისას, რომლის მიხედვითაც კაცები 2-ჯერ უფრო ხშირად არიან დოკუმენტირებული მფლობელები, ვიდრე ქალები. ქალები ასევე ვერ სარგებლობენ საკუთარი აქტივების გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის უფლებით, რადგან მათი გავლენა შეზღუდულია გადაწყვეტილების მიღებისას[72].

სწორედ მიწის ფლობის შესაძლებლობა დასახელდა ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ბარიერად პროგრამაში, „დანერგე მომავალი“, მონაწილეობისთვის, რომელიც ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს ფიზიკური პირი, ან კოოპერატივი, რომელიც საკუთრებაში, ან თანასაკუთრებაში ფლობს მიწის ნაკვეთის გარკვეულ ფართობს. შეხვედრებიდან ირკვევა, რომ დაბალი ცნობიერების გამო ქალები ერიდებიან კოოპერატივების შექმნას. ქალებისთვის პროგრამით სარგებლობისას დიდ ბარიერს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის ფლობა და მასთან დაკავშირებული დამატებითი ფინანსური ხარჯები, რასაც ასევე ემატება ბანკის მხრიდან მიწის ნაკვეთის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნა და სხვა ბიუროკრატიული პროცედურები. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნულ პროგრამას 2018 წელს პრიორიტეტულ მიმართულებად ჰქონდა გამოცხადებული კენკროვანი კულტურების დაფინანსება, რაც ბევრი ქალისთვის, წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო, წამგებიანი ბიზნესი აღმოჩნდა.

[72]ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/EDGE%20Report%20GEO%20Final.pdf

„რეგიონებში ეს არის და კარგა ხანს იქნება. კაცი ითვლებოდა ოჯახის უფროსად და არცერთი ქალი არ იტყვის, მე გადმომიფორმეთ ქონებაო. ქალი იყო მომთმენი და ასე გრძელდებოდა ოდითგანვე.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა წყალტუბოში]

გარდა ამისა, შეხვედრებზე გამოიკვეთა თავად მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე მიწის რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც, შესაძლოა, ასევე უკავშირდებოდეს სამართლებრივი კონსულტაციების სიმცირეს. ამ კუთხით საინფორმაციო შეხვედრების სიმცირე განსაკუთრებით პრობლემური იყო საგარეჯოში, იორმუღანლოს თემში, სადაც დამატებითი ბარიერია ქართული ენის არცოდნა.

სამწუხაროდ, უცვლელია მემკვიდრეობის განაწილების პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ბიჭს ენიჭება და ქალები ნაკლებად არიან მიწის, ან უძრავი ქონების რეგისტრირებული მფლობელები. საგულისხმოა ისიც, რომ ქონების განაწილება ასევე დამოკიდებულია ოჯახის შესაძლებლობებზე, თუმცა, როდესაც ოჯახი არჩევანის წინაშე დგება, ბიჭი, როგორც „გვარის გამგრძელებელი და მემკვიდრე“, გადამწყვეტ როლს თამაშობს ქონების განაწილებისას. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც თავად ქალები ამბობენ უარს ქონებაზე და მას ძმებს უთმობენ.

შესაბამისად, ის დისკრიმინაციული პრაქტიკა, რომელიც ვლინდება მემკვიდრეობის, უძრავი ქონების თუ მიწის ფლობის არარსებობის პირობებში, ქალებს მეტად დაუცველს ხდის და უფრო მეტად ართულებს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას. გარდა ამისა, შეხვედრები ცხადყოფს, რომ სოფლად და ქალაქად მცხოვრები ქალების პრობლემები განსხვავებულია. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს ინტერსექციურ მიდგომებს და საჭიროებებზე მორგებულ სერვისებს.

2.4. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით მუნიციპალიტეტების აქტივობა მინიმალურია და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებშიც იშვიათად არის გაწერილი ისეთი პროექტები, პროგრამები თუ ინიციატივები, რომლებიც ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ხელს შეუწყობდა.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობა, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, ძირითადად დაკავშირებულია მოსახლეობის მობილიზებასთან და ინფორმაციის გავრცელებასთან. ასევე, მუნიციპალიტეტი თანადაფინანსებით უზრუნველყოფს გარკვეული გამოკვლევებისა და ოპერაციების ჩატარებას.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ გამოწვევას წარმოადგენს ზოგადად ქალების ცნობიერება ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობასა და გამოკვლევების ჩატარების კულტურაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ფინანსური ბარიერი[73].

[73]მაგალითად, ჩხოროწყუში ქალთა რეპროდუქციული საჭიროების კვლევისა და პრობლემების გამოსავლენად, ორგანიზაციამ, „ათინათი“, გააკეთა სპეციალური კითხვარი, თუმცა ქალებს ის არ შეუვსიათ, დაინტერესების არქონის გამო. მოსახლეობის ინფორმირებულობის პრობლემას ადასტურებენ საბჭოს წევრებიც.

„5 წელი ისე შეიძლება გავიდეს, რომ სოფელში მცხოვრები ქალი ექიმთან არ იყოს ნამყოფი. საშუალების პრობლემა არ არის, უბრალოდ, ექიმთან არ მიდიან. ასევე არის კვალიფიკაციის პრობლემები. 8 ექიმი ემსახურება მუნიციპალიტეტს და დღეებად აქვთ დაყოფილი სოფლები.“ [შეხვედრა ახალციხეში მცხოვრებ ქალებთან]

წარმატებულ პრაქტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ გურიაში არსებული „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“, რომელსაც მემორანდუმი აქვს გაფორმებული ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და სადაც ხდება ონკოლოგიური დაავადებების მქონე ქალების მიერ ორგანიზებული შეხვედრების უზრუნველყოფა. ადგილობრივ მოსახლეობას მეტნაკლებად აქვს რეგიონში არსებული საავადმყოფოებისა და კლინიკების მიმართ ნდობა და შესაბამისად, იყენებენ ადგილზე არსებულ სერვისს. თუმცა, დიდ ქალაქთან ახლოს მდებარე დასახლებებიდან, ადგილზე კონკრეტული სპეციალისტის, ან შესაბამისი გამოკვლევის აპარატის არარსებობის გამო, ძირითადად ტრანსპორტით უწევთ უახლოეს ქალაქში გამგზავრება.

კვლევის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქალებისთვის სამშობიაროების ხელმისაწვდომობა, რაც პრობლემად დასახელდა ზოგიერთ ქალაქში[74]. ხშირია პრაქტიკა, როდესაც შედარებით პატარა ზომის ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას ჯანდაცვასთან დაკავშირებული სერვისებით სარგებლობა უწევს ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე დიდ ქალაქში[75].

განსაკუთრებული პრობლემაა სოფლებში ოჯახის ექიმების ტრანსპორტირების საკითხი, რაც ასევე დაკავშირებულია სამედიცინო სერვისის დროულ და ეფექტიან მიღებასთან. სოფლებად ოჯახის ექიმებს ძირითადად პირველადი საჭიროების მედიკამენტები აქვთ და ხშირია მედიკამენტების სიმწირით გამოწვეული გართულებები. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახის ექიმები თავად ყიდულობენ წამლებს, რადგან სამინისტროს, ან მუნიციპალიტეტის მხრიდან მედიკამენტებით უზრუნველყოფა არ ხდება. ასევე, პრობლემად რჩება ამბულატორიების ზოგადი ინფრასტრუქ-ტურის, კეთილმოწყობის, მათ შორის, ჰიგიენის, სისუფთავის, წყალზე ხელმისაწვდომობის და მედიკამენტების სიმწირის საკითხი.

ზოგიერთ სოფელში დასახელდა გამართული შიდა გზის და შესაბამისად, სასწრაფო სამედიცინო სერვისის გამოძახების და ხელმისაწვდომობის პრობლემა, რის გამოც, პაციენტის გაყვანა მთავარ გზამდე ბევრჯერ ხელით მოუწიათ[76]. გარდა ამისა, ძველი და შესაბამისი ტექნიკის არმქონე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები რისკის ქვეშ აყენებენ პაციენტის უსაფრთხოებას გადაადგილებისას.

[74]ამ მხრივ პრობლემა გამოვლინდა ბაღდათში, ვანში, ონში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ადიგენში, ასპინძაში, წყალტუბოსა და ხარაგაულში.

[75]წყალტუბოსა და ბაღდათში მცხოვრები ქალები ანტენატალურ კონსულტაციებზე ქუთაისში დადიან. იგივე მდგომარეობაა სიღნაღში, ყვარელსა და წალენჯიხაში, სადაც ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მოსახლეობას უახლოეს ქალაქში უწევს ჩასვლა. გარდა ამისა, ყვარელში გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც გარდაიცვალა პაციენტი, რადგან სასწრაფომ ვერ მოასწრო მისი თელავში გადაყვანა. წალენჯიხაში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მშობიარე ქალმა ზუგდიდში გადაყვანისას გზაში იმშობიარა. ასევე, ასპინძაში დასახელდა სამარშრუტო ტაქსში მშობიარობის ფაქტები.

[76]სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებასთან დაკავშირებით, პრობლემა გამოვლინდა დედოფლისწყაროში, ყვარელში, ამბროლაურსა და ცაგერში. ონში პრობლემას ქმნის ქუჩების დანომვრის საკითხი, რის გამოც, სასწრაფოს უჭირს მიაგნოს კონკრეტულ ოჯახს, რაც აფერხებს დროულ სერვისს და რისკის ქვეშ აყენებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2.5. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დიდი როლი აკისრიათ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიმართულებით. უშუალოდ მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები და ინიციატივები ძირითადად ეხება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიებს და თავად საბჭოს წევრთა მგრძნობელობის გაზრდას გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე.

კვლევის ფარგლებში, მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა განწყობები და დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრის გზებზე. ხშირად, საბჭოს წევრები აცნობიერებენ, რომ მათი საქმიანობა უფრო აქტიური უნდა იყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით, და რომ მსხვერპლთა დახმარების სერვისებიც მეტად უნდა დაიხვეწოს, როგორც ფინანსურად, ისე - შინაარსით. აგრეთვე ითქვა, რომ მუნიციპალიტეტში მსხვერპლების მხრიდან დახმარების სერვისებზე მიმართვა მინიმალური იყო, რასაც საბჭოს წევრები პრობლემის არარსებობით ხსნიდნენ. თუმცა, მსხვერპლთა დახმარების სერვისების გაჩენის შედეგად გამოვლენის მაჩვენებელმა და მიმართვიანობამაც მოიმატა, რასაც თან მოჰყვა ბიუჯეტის გაზრდა[77].

გენდერული საბჭოების მიერ ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრაზე მიმართული ღონისძიებები ძირითადად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას უკავშირდება. გარდა ამისა, ვრცელდება ბეჭდური მასალა, რომელზეც დატანილია ინფორმაცია ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ. განსაკუთრებით დაბალი იყო საკრებულოს წარმომადგენელთა მგრძნობელობა ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საკითხებზე რაჭაში. გამოვლინდა ოჯახში ძალადობის ფენომენის შესახებ ცოდნის ნაკლებობა და დაბალი მგრძნობელობა.

> *„ოჯახის საქმეა რა, იმისთვის ცოლია და გალახავს თუ არ გალახავს, სხვა ადამიანი მაგ თემებში არ უნდა ჩაერიოს. თუ ოჯახში გავიგეთ ეს ამბავი, ამის აფიშირებას არ ვაკეთებთ. ეს ქალი რომ ვინმემ მოკლას, პირველ რიგში თავის თავზეა დამოკიდებული. რანაირად ვერ ხვდება, რომ დახმარება სჭირდება.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ონის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან].*

რაც შეეხება პრევენციას და გამოვლენის მაჩვენებელს, ამ მიმართულებით გენდერული საბჭოების საქმიანობა ფრაგმენტული და არასისტემურია, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ცნობიერების დონეზე. როგორც შეხვედრებიდან ირკვევა, საბჭოების მიერ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან გამართული საინფორმაციო შეხვედრები ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობაში ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მათ მიერ მსხვერპლის დასაცავად სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებას. არაერთი მაგალითი იყო განხილული, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა, პოლიცია, სოციალური მუშაკი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან თემში მცხოვრები მოძალადის შესახებ, თუმცა კონკრეტული ჩარევა და მსხვერპლის დასახმარებლად შესაბამის ორგანიზაციასთან თუ უწყებასთან გადამისამართება ვერ ხერხდება. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს მერიის წარმომადგენლების ცნობიერება გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების ღონისძიებების

[77]ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ორჯერ გაიზარდა მიმართვიანობა მას შემდგ, რაც მსხვერპლებისთვის გაჩნდა მხარდამჭერი სერვისები.

შესახებ, რომლებიც ინფორმაციის გაცემის მთავარი წყაროები არიან სოფლად მცხოვრები ქალებისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გამოწვევაც, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოები იშვიათად თანამშრომლობენ ადგილობრივი პოლიციის განყოფილებებთან იმ პირობებში, როდესაც მათ გააჩნიათ გარკვეული პროგრამები მსხვერპლთა დასახმარებლად. გენდერის საბჭოების და მრჩევლების დაბალი ცნობადობა განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ ძალიან დაბალია მიმართვიანობა სტატუსის მქონე მსხვერპლების მიერ სხვადასხვა სერვისის თუ დახმარების პროგრამაში ჩასართავად. შესაბამისად, გენდერული საბჭოების მიერ პრევენციის დონეზე განხორციელებული ინიციატივები მინიმალურია. ასევე გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა სოციალურ სააგენტოსთან, მათ შორის რეფერირების განხორციელება შესაბამის სამსახურებთან და შესაბამისად, უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრები ცხადყოფს, რომ რეგიონებში გაზრდილია ძალადობის გამოვლენის მაჩვენებელი, თუმცა პრობლემურ ტენდენციად რჩება მხარდამჭერი წრის არარსებობა და თავად მსხვერპლის გადაწყვეტილება, ითანამშრომლოს სამართალდამცავ უწყებებთან.

> *„სოციალური ფონი დიდ გავლენას ახდენს ძალადობის ფაქტებზე. ოჯახში ძალადობა მაინც ოჯახის საქმედ ითვლება. თან მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა დაბალია. ამას ემატება ისიც, რომ პატარა რაიონში ყველა ყველას იცნობს და ურჩევნიათ, თუ არ ჩაერევიან, თავადვე მოაგვარონ, ვიდრე პატრულში დარეკონ.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ამბროლაურში]*

სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა მუნიციპალიტეტებს ყველაზე ნაკლებად განიხილავს მსხვერპლის დახმარებისა და დაცვის მექანიზმად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამაღლდეს მათი მგრძნობელობა და ცოდნის დონე ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით, რათა მუნიციპალიტეტში მისულმა მსხვერპლმა სტერეოტიპებისა და განსჯის გარეშე მიიღოს ის სერვისები, რომლებიც მისი კეთილდღეობისთვის შეიქმნა.

პრობლემაა ისიც, რომ მოსახლეობა სრულყოფილად არ ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების ღონისძიებების შესახებ. ფოკუს ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეთა უმრავლესობა არ ფლობდა ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების, მათი სერვისებისა და ცხელი ხაზის შესახებ. ამ კუთხით მათი ინფორმირებულობა ყველაზე მაღალია გადაუდებელი დახმარების სამსახურის - 112-ის შესახებ[78].

კვლევამ გამოავლინა, რომ მინიმალურია როგორც მოსახლეობის, ისე გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა ცოდნა სექსუალური შევიწროების დეფინიციაზე, ფორმებსა და არსებულ კანონმდებლობაზე. იმის მიუხედავად, რომ გენდერის საბჭოსა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების ნაწილს გავლილი ჰქონდა სახალხო დამცველის ელექტრონული კურსი სექსუალური შევიწროების პრევენციის შესახებ, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მსხვერპლის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები შეძლებენ მას მიაწოდონ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის, თუ დახმარების მექანიზმების შესახებ.

[78]საყურადღებოა, რომ ჭიათურაში, მსხვერპლის დახმარების და გაძლიერების მაგალითად ასევე დასახელდა ეკლესია და ადგილობრივი მოძღვარი.

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, როგორც მოსახლეობის, ისე მუნიციპალიტეტის ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, იგრძნობოდა არასერიოზული და დამცინავი დამოკიდებულება. შევიწროების ფაქტებს არც საჯარო უწყების წარმომადგენლები, და არც ადგილობრივი მოსახლეობა პრობლემად არ აღიქვამს.

2.6. ინფრასტრუქტურა

არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტის განხორციელების მიუხედავად, შეხვედრებიდან ირკვევა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის კვლავ პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგება. მოსახლეობა ყურადღებას ძირითადად შემდეგ საკითხებზე ამახვილებს: ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია, სოფლის შიდა სავალი გზების შეკეთება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შეკრების სივრცის მოწესრიგება, წყლის ხარისხის და მიწოდების საკითხი, კანალიზაცია და სარწყავი არხები, ქუჩაში მცხოვრები ძაღლების აღრიცხვა და მათზე ზრუნვა[79], ელექტროენერგია და გაზიფიცირება.

გარდა ამისა, ყველა რეგიონში ცალკე პრობლემად დასახელდა მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა და ადგილზე მოქმედი კერძო კომპანიების მუშაობის თვითნებური ხასიათი, რაც ხშირად, ქაოტურობასა და მოუწესრიგებლობაში გამოიხატება.

ქალები უფრო ხშირად უთითებენ სასმელი წყლის ვარგისიანობასა და წყლის მიწოდების გრაფიკზე. წყლის მიწოდების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ მეწარმე ქალებისთვის, რომლებსაც აქვთ საოჯახო სასტუმროები, რესტორნები თუ მიწის ნაკვეთები სოფლის მეურნეობის სფეროში. სოფლად მცხოვრები ქალების მხრიდან ასევე არაერთხელ დასახელდა სოფლებში თავშეყრის ადგილების მოწესრიგება, სადაც მოსახლეობა შეძლებს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტას და მსჯელობას. სხვა შემთხვევაში ასეთი შეკრების ადგილი რომელიმე მაცხოვრებლის კერძო საცხოვრებელი სახლია.

გარდა ამისა, გამოწვევად დასახელდა ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცეების მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა არაფორმალური განათლების მიღება. სოფლად მცხოვრები ქალების თქმით, ხშირია შემთხვევა, როდესაც დგას ცეკვის, მუსიკალური სკოლის, სპორტული დარბაზის, ან საცურაო აუზის საჭიროება, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი შენობის გამოყოფა და მისი აღჭურვა დაკავშირებულია დროსთან და ფინანსებთან, რაც უფრო მეტად აჭიანურებს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

2.7. მოწყვლადი ჯგუფები

მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის განსაზღვრისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული იყოს ის საჭიროებები, რაც მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ ქალებს გააჩნიათ. გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმებში ძირითადად ვხვდებით მოწყვლადი ჯგუფების შესახებ სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებას, საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე მათი

[79]ქუჩის ძაღლების პრობლემა, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას, კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა სიღნაღში, ახმეტაში, ჩხოროწყუში, ახალციხესა და ოზურგეთში.

ინტეგრაციისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობას და ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამების უზრუნველყოფას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ შშმ ქალები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სახელმწიფოს მხრიდან პროგრამებისა და ინიციატივების სიმცირის გარდა, პრობლემას წარმოადგენს თავად შშმ ქალთა დაბალი მოტივაცია, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც დაკავშირებულია გარემოსთან წვდომის სირთულეებთან და საზოგადოებაში არსებულ სტიგმასთან. მუნიციპალიტეტებში არსებული პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია სამედიცინო მოდელზე და ითვალისწინებს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას, იშვიათად - შინ მოვლის სერვისს. პრობლემაა ისიც, რომ არსებული დახმარების პროგრამების უმრავლესობა განკუთვნილია 18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია გააუმჯობესოს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა, თუმცა მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები არ ფლობენ ცოდნას სპეციფიკურ საკითხებზე და შედეგად, მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ფორმალური ხასიათისაა. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები ძირითადად კაცები არიან, რომელთაც არათუ შშმ პირთა პრობლემები, არამედ ქალთა საჭიროებებიც არა აქვთ გააზრებული.

> *„შშმ ქალებზე საუბარი ზედმეტია. ეს ქალები საერთოდ არ განიხილებიან როგორც რესურსი, საჯარო სამსახურებში მით უფრო. შშმ ქალებს თავიანთი მდგომარეობის გამო არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ განათლება, დააგროვონ მუშაობის გამოცდილება და შემდეგ დასაქმდნენ.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ზუგდიდში]*

პრობლემაა ისიც, რომ მუნიციპალიტეტებში 18 წელს ზემოთ პირისთვის არ არსებობს არცერთი პროგრამა და სერვისი. ზუგდიდში მწირი ინფორმაცია აქვთ ამ კუთხით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. პრობლემად დასახელდა სტერეოტიპული დამოკიდებულება თავად მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა მხრიდან.

> *„დამოკიდებულება და მიდგომა იმდენად ცივი და არაეთიკურია საჯარო პირების მხრიდან, ადამიანი თუ არ არის მებრძოლი, ცოდნით შეიარაღებული, სურვილი აღარ უჩნდება, რომ მივიდეს და მოითხოვოს სერვისები“. [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ზუგდიდში]*

მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის და ზოგადი ურთიერთობის კუთხით აღინიშნა, რომ მათგან ნაკლებია ინიციატივა შშმ ქალთა გაძლიერების მიმართულებით და ეს ინიციატივებიც ძირითადად ქველმოქმედებითი ხასიათისაა, „უმეტესად ჩანს ყვავილი, ტკბილეულის მიტანა და ფოტოები“[80]. მართალია, შშმ პირები უფრო აქტიურად არიან ჩართულები შშმ პირთა საბჭოების მუშაობაში, თუმცა გენდერის საბჭოში მათი მონაწილეობა მინიმალურია. აღსანიშნავია, რომ პრობლემას წარმოადგენს საბჭოებზე მათი დასწრების საკითხიც, რადგან საკრებულოს შენობები უმეტესწილად არაადაპტირებულია.

[80]ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ოზურგეთში მცხოვრებ შშმ ქალებთან.

რაც შეეხება შშმ პირების წვდომას ფიზიკურ გარემოზე, საჯარო დაწესებულებათა უმრავლესობა, მათ შორის, საკრებულოს და მერიის შენობები, არ არის ადაპტირებული. გარდა ამისა, პრობლემაა საავადმყოფოების, სკოლებისა და ბაღების მისაწვდომობაც. შენობების უმეტესობას გააჩნია გარე პანდუსი, რაც შშმ პირს შესაძლებლობას აძლევს შეაღწიოს შენობაში, თუმცა შიგნით გადაადგილებას უზღუდავს. კვლევის ფარგლებში, ფიზიკურ გარემოზე წვდომის საკითხი დიდ პრობლემას წარმოადგენდა არა მარტო იმ სამიზნე რეგიონებში, სადაც ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებშიც. საბჭოს სხდომებზე დასწრება პრობლემაა შშმ საბჭოს წევრებისთვისაც. ასევე, იმ პირობებშიც კი, სადაც ფიზიკური გარემო მეტნაკლებად მოწესრიგებულია, პრობლემურია პანდუსების ხარისხი და დახრილობა. შშმ პირებს აქვთ განცდა, რომ პანდუსის არსებობის პირობებშიც კი, ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურად არ არის გამიზნული შშმ პირთა თავისუფლად გადასაადგილებლად[81]. ამასთან, შეხვედრები ცხადყოფს, რომ ხელმისაწვდომობაში ძირითადად მოიაზრება პანდუსები და ლიფტით აღჭურვილი შენობები, თუმცა უსინათლო, სმენადაქვეითებული და სხვა ტიპის შეზღუდვის მქონე ადამიანები საერთოდ არ მოიაზრებიან საჭიროებების გათვალისწინებისას და პოლიტიკის განსაზღვრისას.

მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის პრობლემა ასევე ეხებათ შშმ პირებს. გარდა იმისა, რომ ფიზიკური გარემო არ არის ადაპტირებული, თელავში მცხოვრებმა შშმ პირმა ვერ შეძლო გამოცდაზე მისვლა, რადგან ტაქსის მძღოლმა ეტლით მოსარგებლე პირს გადაადგილებაზე უარი უთხრა. გადაადგილება პრობლემაა არა მხოლოდ ქალაქის შიგნით, არამედ ქალაქგარეთაც, რადგან საგზაო ტრანსპორტი და მატარებელი არ არის ადაპტირებული. შესაბამისად, ფიზიკურ გარემოზე წვდომის შეზღუდვა, სტერეოტიპული დამოკიდებულება, ხილული თუ უხილავი ბარიერები ეტლით მოსარგებლე შშმ პირს აიძულებს დარჩეს სახლში და უარი თქვას საზოგადო სიკეთეებზე.

> *„ჩემი და ჩემი შვილის მსგავსად ბევრი ადამიანია შინაპატიმრობაში. მუნიციპალური ტრანსპორტი შშმ პირებისთვის არ არსებობს. ამ ბარიერების გამო, ბავშვი, რომელიც ძალიან აქტიური იყო, ახლა თავის ნაჭუჭში იკეტება და აღარ უნდა გარესამყაროსთან კომუნიკაცია.“ [შეხვედრა შშმ პირთა მშობლებთან თელავში]*

შშმ პირებისთვის ცნობიერების ასამაღლებელ შეხვედრებს ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ. მთავარი გამოწვევა, როგორც უკვე აღინიშნა, შეხვედრებზე დასწრება და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფაა. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

გარდა იმისა, რომ საზოგადოება სტერეოტიპულადაა განწყობილი შშმ პირების მიმართ, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საჭიროა მუშაობა თავად შშმ პირთა ოჯახის წევრებთან და მშობლებთან, რადგან ბევრი მათგანი წინააღმდეგია შშმ პირმა მიიღოს სტატუსი და ისარგებლოს შესაბამისი სერვისებით. კერძოდ, აღინიშნა, რომ პირები, რომლებსაც არა აქვთ სტატუსი, ძირითადად გოგოები არიან, რადგან ფიქრობენ, რომ სტატუსის მიღების შემთხვევაში, მათი შეზღუდული შესაძლებლობა ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ ქორწინებას. აღნიშნული პრაქტიკა მეტყველებს იმ სტერეოტიპულ გარემოზე, რომელიც ქალის როლს მხოლოდ რეპროდუქციულ ჭრილში განიხილავს და არ აძლევს მას სოციალურად გააქტიურების შესაძლებლობას. სტატუსის არქონა შშმ პირებისთვის დაკავშირებულია

[81]შეხვედრებზე არაერთხელ დასახელდა შშმ პირებისთვის განკუთვნილი საჯარო საპირფარეშოების არარსებობა და შშმ პირთა საბჭოს სხდომებზე დასწრების პრობლემა.

სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მხარდაჭერის შეზღუდვასთან. განსაკუთრებით რთულია სტატუსის მოპოვება და შესაბამისი პროცედურების გავლა იმ პირებისთვის, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახის წევრები და დაუხმარებლად ვერ გადაადგილდებიან.

> *„ძალიან ბევრია ისეთი ბენეფიციარი, რომელსაც ან სკოლაში არ უვლია, ან ვერ გასცდა ოჯახს. ძირითადად ყველაფერი დამოკიდებულია მშობელზე. მშობელი თუ არ არის აქტიური, ფაქტობრივად განწირულები არიან.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა თელავში შშმ პირთა მშობლებთან]*

უმნიშვნელოვანესია შშმ პირთა ხელმისაწვდომობა განათლებაზე, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური და პროფესიული განვითარების კუთხითაც. შეხვედრები ცხადყოფს, რომ შშმ პირების ეკონომიკური გაძლიერებისთვის განხორციელებული პროგრამები და ინიციატივები მინიმალურია, რადგან მათი შემოსავლის ძირითადი წყარო, უმეტესად სოციალური პაკეტით გათვალისწინებული დახმარებაა. შშმ პირები, ადაპტირების, კვალიფიკაციის, სამუშაო გარემოსა და პირობების გონივრულად მისადაგების პრობლემის გამო, მინიმალურად არიან დასაქმებული საჯარო თუ კერძო სამსახურებში.

> *„2017 წელს კვლევა ჩატარდა, რამდენი ადამიანი იყო დასაქმებული და იქ არცერთი სიტყვა არ იყო ნახსენები დასაქმებულ შშმ ქალებზე. შშმ ქალებს რესურსად არ განიხილავენ და მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე ზედმეტია ლაპარაკი.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა შშმ ქალებთან ზუგდიდში]*

საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლება მუდმივი პროცესია და, შესაბამისად, საჭიროა სტიგმის შემცირებასა და ტოლერანტული გარემოს შექმნაზე ორიენტირებული უწყვეტი საინფორმაციო კამპანიები. ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად მაინც რჩება საჯარო დაწესებულებებში ფიზიკურ გარემოზე წვდომის საკითხი, რაც გამორიცხავს მუნიციპალურ დონეზე შშმ პირთა დასაქმებას.

დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ არასამთავრობო, ან საერთაშორისო ორგანიზაციების თუ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პროექტების მიუხედავად, გამოწვევად რჩება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის, სოციალურ, თუ იურიდიულ სერვისებზე. გარდა ამისა, დაბალია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების მონაწილეობა პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელების პროცესში, რაც გამორიცხავს მათი საჭიროებების გათვალისწინებას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არსებული სერვისები ძირითადად მორგებულია ზოგად საჭიროებებზე და მინიმალურია ისეთი პროგრამები თუ ინიციატივები, რომლებიც მიმართული იქნებოდა კონკრეტულად დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების სპეციფიკურ საჭიროებებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან, საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს[82] „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო უშიშროების საბჭოს რეზოლუციების

[82]ლოკალიზაციის პროცესში შერჩეული მუნიციპალიტეტებია: დუშეთი, გორი, ქარელი, კასპი, ხაშური, საჩხერე, სტეფანწმინდა, წალენჯიხა, წყალტუბო, ზუგდიდი.

განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესი, რომლის მიზანია, თვითმმართველ ორგანოებს ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე თავიანთი როლის გაძლიერებაში და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების გასაძლიერებლად, სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავებაში.

დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ. სწორედ მათი მეშვეობით ხდება პრობლემური საკითხების ადვოკატირება მუნიციპალიტეტებთან. აღსანიშნავია, რომ იმ თვითმმართველ ერთეულებში, სადაც დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს, გენდერული საბჭოების მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ პრინციპები აისახა სამოქმედო გეგმებში[83]. თუმცა, პრობლემას წარმოადგენს სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების განხორციელებისთვის შესაბამისი ბიუჯეტის არარსებობა, ან სიმცირე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ნაკლებად აქტიურობენ შეხვედრების ორგანიზების მხრივ, რასაც ასევე ადასტურებს დევნილი მოსახლეობის დაბალი ცნობიერება გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და გენდერის მრჩევლების შესახებ.

შეხვედრებიდან იკვეთება, რომ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის ამ დრომდე მწვავედ დგას ინფრასტრუქტურული[84] საკითხების მოწესრიგება, მათ შორის წყალზე წვდომა, გზის შეკეთება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტრანსპორტირება. კეთილმოწყობილი გზებისა და ტრანსპორტირების საკითხს უკავშირდება ასევე დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მიერ ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა, რადგან ზამთარში, მოუწესრიგებელი გზის გამო, შეუძლებელია სასწრაფოს გამოძახება. განსაკუთრებით საგანგაშოა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დევნილი ქალები ხშირად მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ მუნიციპალიტეტი ფლობს ინფორმაციას მათი მხრიდან წამოჭრილი საკითხების შესახებ, თუმცა პრობლემები წლების განმავლობაში არ გვარდება, რაც მათში უფრო მეტად აღვივებს უნდობლობას ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების შემოსავლის ძირითადი წყარო სოციალური დახმარებითა და პენსიით შემოიფარგლება. ასევე, ფლობენ ინფორმაციას პროფესიული გადამზადების კურსების შესახებ, თუმცა სასწავლებლების მდებარეობა ხშირად ტრანსპორტირების და დამატებითი ხარჯების პრობლემასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს, დევნილი ქალების ნაწილი სარგებლობს ამ შესაძლებლობით, თუმცა დიდ პრობლემას წარმოადგენს პროექტის დაფინანსება გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისთვის, რადგან დაფინანსებაზე უარის თქმის მიზეზად არასტაბილური გარემო და ოკუპაცია სახელდება[85]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სამეწარმეო პროგრამებზე გრანტების გამოცხადებისას გაითვალისწი-ნოს აღნიშნული რისკები, პროექტების განაცხადების შერჩევისას კი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების განსაკუთრებული საჭიროებები.

შეხვედრები ასევე ცხადყოფს, რომ მინიმალურია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარა-

[83]ზუგდიდი, გორი, ქარელი, ხაშური, წყალტუბო, წალენჯიხა, საჩხერე.

[84]სოფელი ჩორჩანაში გზა მოუწესრიგებელია და შესაბამისად, ტრანსპორტი პრობლემურია, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც ბავშვებს უწევთ თოვლში ფეხით გადაადგილება.

[85]პროექტის დაფინანსების შესახებ უარი მიიღო ზარდიაანთკარში მცხოვრებმა ქალმა.

ლებული მოსახლეობის ფსიქო-სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა.

მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები

ქალთა ეკონომიკური აქტივობისა და მათი შრომითი უფლებების რეალიზების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი მდგომარეობა. მართალია, შეიცვალა მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრის და შეწყვეტის საფუძველი, თუმცა დახმარების პროგრამები კონკრეტული მუნიციპალიტეტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და შესაბამისი მატერიალური გარანტიების შექმნას ქვეყნის მასშტაბით ვერ უზრუნველყოფს. ასევე, მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის განსაზღვრის შედეგად დაწესებული სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პირობები ვერ ფარავს მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებებს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, მეტად დაიხვეწოს ქვეყანაში არსებული სერვისები მათი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გასაუმჯობესებლად.

შეხვედრები ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი დაცვისა და დახმარების სპეციალური ღონისძიებების ნაკლებობა, ხშირად კი, მათი არარსებობა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების უმეტესობა არ ფლობს სრულყოფილ სტატისტიკურ ინფორმაციას მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების შესახებ. გარდა ამისა, არ ხდება თავად საკრებულოსა და მერიაში დასაქმებული მარტოხელა/მრავალშვილიანი მშობლების იდენტიფიცირება და მათი ხელშეწყობა.

მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 50-300 ლარის ფარგლებში მერყეობს. დამკვიდრებული პრაქტიკაა აღნიშნული ჯგუფისთვის სადღესასწაულო დღეებში პროდუქტებით, საყოფაცხოვრებო ნივთებითა და სხვადასხვა ტიპის საჩუქრებით დახმარება. იშვიათია ბინის ქირით, ან საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა[86], რაც ასევე დაკავშირებულია ბიუროკრატიულ პროცედურებსა და გაჭიანურებულ ვადებთან.

პრობლემა გამოვლინდა იმ კუთხითაც, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არსებობს შესაბამისი ბიუჯეტი მარტოხელა ან მრავალშვილიანი მშობლების დასახმარებლად, დაბალია მოსახლეობის ცნობიერების დონე სტატუსის მიღების პროცედურებზე, როგორც მარტოხელა მშობლებში, ისე თავად გენდერის საბჭოებშიც. განსხვავებულია მრავალშვილიანი მშობლის განსაზღვრის წესი - ზოგიერთ მუნიციპალიტეტში პროგრამით მოსარგებლედ ითვლება მშობელი, რომელსაც 3 და მეტი შვილი ჰყავს, ხოლო ზოგიერთში საჭიროა 4 ან 5-ზე მეტი შვილის ყოლა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობელი ამავე დროს არის სოციალურად დაუცველი და სოციალურ შემწეობას იღებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმეს.

> *„მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 1 ბავშვზე 100 ლარი გვაქვს დახმარება და ხშირად სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის კარგი შემოსავალია. ამ ოჯახებს უნდა მიეხმაროს სახელმწიფო და გააძლიეროს. გვქონდა შემთხვევა, როდესაც მრავალშვილიანი ოჯახის მშობლებს შევთავაზეთ დასაქმება და ყველამ უარი თქვა, რადგან ამ შემთხვევაში სოციალური მოეხსნებოდათ.“ [ფოკუს ჯგუფის შეხვედრა გორის გენდერის საბჭოსთან]*

[86]სიღნაღის მუნიციპალიტეტს ჰქონდა ინიციატივა შეესყიდა მიტოვებული შენობები, რათა შემდეგ მარტოხელა, მრავალშვილიანი ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის გადაეცა, თუმცა ბიუროკრატიული პროცედურების გამო, ეს პროცესი ახლაც შეჩერებულია.

ფოკუს ჯგუფის შეხვედრებზე ასევე გამოვლინდა ისეთი პრაქტიკაც, როდესაც მუნიციპალიტეტს მართალია, აქვს შესაბამისი ბიუჯეტი მარტოხელა ან მრავალშვილიანი მშობლის დასახმარებლად, თუმცა მომართვიანობის არქონის გამო აღნიშნული თანხა გამოუყენებელი რჩება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების გააქტიურება და სტატუსის მოპოვების წესსა და შემდგომი დახმარების სერვისებზე მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება, მათ შორის, იურიდიული კონსულტაციების უზრუნველყოფითაც.

საყურადღებოა ისიც, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არსებობს ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამები, ძირითადი აქცენტი მარტოხელა და მრავალშვილიან დედებზე კეთდება და არსად იკვეთება შემთხვევა, მუნიციპალიტეტი ფლობდეს ინფორმაციას მარტოხელა, ან მრავალშვილიანი მამის შესახებ. შესაბამისად, მარტოხელა დედებისთვის ზრუნვის ტვირთის უთანასწორო განაწილების პირობებში, მნიშვნელოვანია არსებობდეს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათები.

3. დასკვნა

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ გენდერული უთანასწორობა ძირითადად ქალთა უფლებების შეზღუდვისა და უგულებელყოფის შედეგია და პირდაპირ აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზე. შესაბამისად, კვლევის მთავარი მიზანი მიმართული იყო სწორედ ამ ბარიერების იდენტიფიცირებასა და თვითმმართველობებში ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პოლიტიკის კვლევაზე.

ჩატარებული შეხვედრები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დასანერგად, ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან, საჭიროა მეტი ძალისხმევა. განსაკუთრებული პრობლემაა თავად გენდერის საბჭოს წევრების მგრძნობელობის ამაღლება და მათი გენდერის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნით აღჭურვა. მნიშვნელოვანია, რომ რიგ შემთხვევებში, ცოდნის არარსებობის პრობლემას, როგორც ერთ-ერთ დამაბრკოლებელს მათ საქმიანობაში, თავად საბჭოს წევრებიც აღიარებენ. ამასთან, გამოწვევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების დაბალი წარმომადგენლობა, რაც ასევე უკავშირდება თანამდებობაზე მომუშავე კაცების დაბალ მგრძნობელობას გენდერული საკითხების მიმართ. საბჭოს წევრებს ასევე მწირი ინფორმაცია აქვთ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად შექმნილ ინსტიტუციურ მექანიზმებზე.

მუნიციპალიტეტებისთვის კვლავ პრობლემად რჩება გენდერული ბიუჯეტირების საკითხების ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენება. საბჭოს წევრების უმეტესობა ვერ ახდენს ქალთა სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებას და არ ფლობენ ინფორმაციას, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ქალების კეთილდღეობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა პროგრამა და ინიციატივა ასევე მოიაზრებს კონკრეტული ფინანსების გაჩენას ბიუჯეტებში, რაც, ხშირ შემთხვევაში, დასახელდა მთავარ პრობლემად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმებს ჰქონდეთ შესაბამისი ბიუჯეტები, რაც შემდგომში, გენდერული თანასწორობის კუთხით გადადგმული ნაბიჯების განხორციელებაზე, დადებითად აისახება.

განსაკუთრებით დაბალია გენდერული საბჭოების ცოდნა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ინიციატივებისა და პროგრამების შესახებ. საბჭოს წევრები არ არიან აღჭურვილნი შესაბამისი ცოდნით და მათთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტული არ არის სპეციფიკურად ქალი მეწარმეების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა, რაც ასევე დაკავშირებულია ფინანსებთან. მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ქალი მეწარმეების წვდომა ისეთი ტიპის ინფორმაციაზე, როგორიცაა: მათი უნარების გაძლიერება, პროექტის წერის სწავლება, ბიზნეს იდეების შედგენა და სხვ. გარდა ამისა, ქალებს აქვთ გარკვეული შიში და მცირე ფინანსური შესაძლებლობების გამო, ვერ რისკავენ მეწარმეობის დაწყებას. ამ მხრივ საქართველოში არსებობს უამრავი ბარიერი, მათ შორის, მემკვიდრეობის განაწილება, მიწისა და სხვა ტიპის ქონების ფლობა, სპეციფიკურად მორგებული პროექტებისა და ინიციატივების სიმცირე და მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების გენდერული შეფასების არარსებობა. გამოწვევად რჩება პროფესიული სასწავლებლების სიმცირე, განსაკუთრებით იმ ქალებისთვის, რომლებსაც თავის დროზე არ ჰქონდათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა და სურთ პროფესიის შესწავლა დასაქმებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

ჩატარებული შეხვედრები ცხადყოფს, რომ რეგიონებში საკმაოდ მაღალია მიგრაცია ქალებში,

რაც სამუშაო ადგილების სიმცირით და ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მძიმე ფონით არის განპირობებული. აღნიშნული პრობლემა ასევე მწვავედ დგას სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში, რადგან სკოლის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტი მათ ვერ სთავაზობს ვერანაირ პერსპექტივას ვერც პროფესიული განვითარების, და ვერც დასაქმების კუთხით. ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირები მიიჩნევენ, რომ წლების განმავლობაში სოციალური დახმარების სახით ოჯახებზე ფულის გაცემას, სჯობს, სახელმწიფომ გრძელვადიანი გრანტები გასცეს, სამუშაო ადგილები რომ შეიქმნას. მეორე მხრივ, იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც თავად მოსახლეობისთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტულია პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სოციალური შეღავათებით სარგებლობა. ამის გამო, მათ არ აინტერესებთ ხანგრძლივ შედეგზე გათვლილი პროგრამები.

კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა/გადარჩენილთა მხარდამჭერი სერვისებით უზრუნველყოფა. მისასალმებელია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ცნობიერება გაზრდილია ქვეყანაში არსებულ დაცვისა და დახმარების სერვისებზე, თუმცა საჭიროა საბჭოების მეტად გააქტიურება, რათა მუნიციპალიტეტების დონეზე დაინერგოს და ხელი შეეწყოს მეგობრული სერვისების დანერგვას, რაც, ერთი მხრივ, ეკონომიკურად გააძლიერებს მსხვერპლებს/გადარჩენილებს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მოსახლეობას არა აქვს განცდა, რომ საჭიროებების კვლევის ჩატარების შემთხვევაშიც კი, მათი უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდება. შესაბამისად, საჭიროა მეტად დაიხვეწოს მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კომუნიკაცია და არსებული სერვისებისა და დახმარების პროგრამების შესახებ გენდერული საბჭოები მეტად გააქტიურდნენ, რადგან ამ ეტაპზე მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები ვერ უზრუნველყოფს, პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ჭრილში, ქალთა გაძლიერებას. ასევე, ხშირად, მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული პროგრამები აცდენილია იმ საჭიროებებს, რომელთა წინაშეც დგანან სოფლად მცხოვრები ქალები და შესაბამისად, არსებული პოლიტიკა უმწეოა, გავლენა იქონიოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გენდერული საბჭოების მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტებში ინტერსექციური მიდგომების სიმცირე, რაც უარყოფითად აისახება მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე და ვერ უზრუნველყოფს მათ თანაბარ მონაწილეობას.
კვლევის ფარგლებში საგანგებოდ აღინიშნა, რომ წინა წლებში უფრო აქტიურად ტარდებოდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების შეხვედრები და სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო კამპანიები, ხოლო 2018 წლიდან მსგავსი ინიციატივები შემცირებულია. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში, ცალკეულ შეხვედრებზე, განსაკუთრებული პრობლემა იყო თანასწორობის ძირითადი პრინციპების, ოჯახში ძალადობის ან სექსუალური შევიწროების საბაზისო საკითხებზე მსჯელობა, შეხვედრების მონაწილეები, რიგ შემთხვევებში ავლენდნენ აგრესიას, რადგან გენდერულ თანასწორობას „ქართული ოჯახის მტრად“ აღიქვამენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობები დაიგეგმოს და განხორციელდეს სისტემატურად, როგორც თავად მუნიციპალიტეტების მხრიდან, ისე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

- ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტებს შორის გენდერული თანასწორობის საკითხებზე კოორდინაციის ერთიანი პლატფორმის შექმნას, წარმატებული პრაქტიკების გაზიარები-სა და შემდგომი კომუნიკაციისთვის
- აქტიურად განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ინფორმირება გენდერული თანასწორობის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი ვალდებულებების და საქმიანობების შესახებ

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

- გააძლიეროს თვითმმართველ ერთეულებთან შეთანხმებული მუშაობა და დაამყაროს მჭიდრო კოორდინაცია მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერზე პასუხისმგებელ პირებთან
- აწარმოოს და გააანალიზოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები და ხელი შეუწყოს მეთოდოლოგიის ერთიანი სტანდარტის შემუშავებას

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

- უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა ცნობიერების ამაღლება ქვეყანაში არსებული გენდერული პოლიტიკის, დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესახებ და ხელი შეუწყონ მათი მგრძნობელობის გაზრდას ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების, გენდერული ბიუჯეტირების და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და სხვა საკითხებზე
- სრულყოფილად შეისწავლონ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების სპეციფიკური საჭიროებები და უზრუნველყონ მათი ასახვა სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში
- გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის საბჭოების თანამშრომლობა ადგილობრივ და თემატურ ორგანიზაციებთან
- უზრუნველყონ გენდერული ბიუჯეტირების პრაქტიკულ დონეზე დანერგვა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამების განხორციელება
- მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას
- დაგეგმონ და განახორციელონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები ოჯახზე ზრუნვის ტვირთის შესამცირებლად და გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად
- გააძლიერონ კოორდინაცია რეფერალურ სამსახურებთან (პოლიცია, სოციალური

მომსახურების სააგენტო და განათლების რესურსცენტრი) ძალადობის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად

- განავითარონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი სერვისები, ფინანსური დახმარების, ან სხვა ტიპის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების გზით
- მოახდინონ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების იდენტიფიცირება და სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტუქტურის (განსაკუთრებით, შიდა გზები) მოწესრიგება და ადაპტირებული გარემოს მისაწვდომობა
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ამბულატორიების, საბავშო ბაღებისა და სკოლების კეთილმოწყობას, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით
- უზრუნველყონ მუნიციპალურ ტრანსპორტზე წვდომა ისეთ სოფლებში, სადაც ადგილობრივ დონეზე არ ფუნქციონირებს სკოლა და საბავშვო ბაღი
- მიიღონ შესაბამისი ზომები შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, განსაკუთრებით, ფიზიკურ გარემოზე • წვდომის კუთხით

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

- ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მეწარმე ქალების პროფესიულ განვითარებას და მათ ეკონომიკურ გაძლიერებას ტრენინგებისა და პროექტების მართვის უნარ-ჩვევების სწავლებით
- მეწარმეობის მხარდამჭერ პროგრამებში პრიორიტეტის განსაზღვრისა და დაფინანსებისას, გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული რეგიონის სპეციფიკა და საჭიროებები
- უზრუნველყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კოოპერატივების შექმნისა და მათი უპირატესობების შესახებ
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალების გასაძლიერებლად

იურიდიული დახმარების სამსახურს

- აუმაღლოს ადგილობრივ მოსახლეობას ცნობიერება მიწის რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და განახორციელოს სამართლებრივი კონსულტაციები საჭიროებებიდან გამომდინარე
- უზრუნველყოს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ინფორმირებულობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა იურიდიულ სერვისებზე
- უზრუნველყოს მარტოხელა მშობლის სტატუსის მოპოვების წესსა და დახმარების სერვისებზე იურიდიული კონსულტაციების გაცემა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

- ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ბიუჯეტში მოხდეს ცალკეული მუხლის გაჩენა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას.